



თბილისის ღია სასწავლო  
უნივერსიტეტი

**ლილე დოლიძე**

**საოჯახო დავების განხილვის საპროცესო სამართლებრივი თავისებურებანი  
არასრულწლოვანის ინტერესების დაცვის ჭრილში**

წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

**სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი – ნინო ხარიტონაშვილი**

თბილისის ღია უნივერსიტეტი სასწავლო უნივერსიტეტი

თბილისი, 0156,

საქართველო

2020

„თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი“

„ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანი ლილე დოლიძის მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: საოჯახო დავების განხილვის საპროცესო სამართლებრივი თავისებურებანი არასრულწლოვანის ინტერესების დაცვის ჯრილში და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“

თარიღი:

ხელმძღვანელი: ნინო ხარიტონაშვილი

რეცენზენტი :

---

---

## რეზიუმე

არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა საერთაშორისო და აქედან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ფუნდამენტური სტანდარტია. მნიშვნელოვან, საერთაშორისო დოკუმენტს, რომელიც არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებთან დაკავშირებულ ყველა საკითხს ამომწურავად გვთავაზობს „ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენცია“ წარმოადგენს. აღნიშნული კონვენციის თანახმად, ხელშემკვერელი სახელმწიფოები ერთხმად აღიარებენ ოჯახის, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედის მნიშვნელობას კაცობრიობის წინაშე. ოჯახის განსაკუთრებულ წევრებს ბავშვები წარმოადგენენ, რომელთა აღზრდასა და კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე, მათ საჭირო დაცვასა და ხელშეწყობაზე, პასუხისმგებლობას როგორც არასრულწლოვანის მშობლები და მისი ოჯახის წევრები, აგრეთვე სახელმწიფო კისრულობს, ბავშვი მისი პიროვნების სრულფასოვანი განვითარებისათვის უნდა იზრდებოდეს ოჯახურ გარემოცვაში, ბედნიერების, სიყვარულისა და გაგების ატმოსფეროში. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, რომლებიც არასრულწლოვანთა უფლებებისა და საუკეთესო ინტერესების დარღვევას უკავშირდება. სახელმწიფო ამ დროს განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მატარებელ სუბიექტად გვევლინება. არასრულწლოვანის უფლებებთან დაკავშირებული თითოეული საკითხი გულისხმიერებას და ასეთი უფლებების დარღვევის განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს. შესაბამისად, ისევე როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელი, ასევე სასამართლო ხელისუფლება ჩართულია საზოგადოების ამ მნიშვნელოვანი წევრების ინტერესთა დაცვის პროცესში. საოჯახო დავები სფეციფიურობით ხასიათდება, რაც განსაკუთრებით არასრულწლოვანების უფლებებსა და ინტერესებთან დაკავშირებული საქმეების განხილვის დროს ვლინდება.

ნაშრომში განხილული საკითხები შეეხება საერთაშორისო სამართლებრივ დებულებებს, რომელთა შესაბამისადაც მეტნაკლებად სისრულეშია მოყვანილი საქართველოს მოქმედი, რეალობის ამსახველი კანონმდებლობა. ჩემი ამ საკითხისადმი ინტერესი განაპირობა იმ გარემოებამ, რომ მიუხედავად არასრულწლოვანის კოდექსის არსებობისა , საპროცესო სამართალში მაინც , რჩება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს მათ ინტერესებზე.

აღნიშნული ნაშრომი მოიცავს დოგმატიურ და ნორმატიულ კვლევის მეთოდებს. ასევე გამოყენებულია, შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდი, რომლის მიზანია საერთაშორისო სამართლებრივი და ქვეყნის შინადახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ურთიერთშედარება და აღნიშნულიდან გამომდინარე პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის მოძიება.ზოგადმეცნიერული მეთოდი, მცირე ისტორიული ასპექტების გათვალისწინებით წარმოადგენს მოცემული ნაშრომის მეთოდოლოგიური კვლევის საფუძველს.

## **introduction**

La protection des meilleurs intérêts des mineurs est une norme fondamentale du droit international et, par conséquent, de la législation d'État dans chaque État concret. "Convention relative aux droits de l'enfant" est un document international important qui aborde de manière exhaustive toutes les questions liées à l'intérêt supérieur du mineur. En vertu de cette Convention, les États contractants reconnaissent à l'unanimité la famille comme cellule principale de la société devant l'humanité. Les membres spéciaux de la famille sont les enfants, dont la responsabilité de l'éducation et du bien-être, de la protection et du soutien, dont ils ont besoin, est assumée par les parents du mineur et les membres de sa famille, ainsi que par l'État. L'enfant, pour le développement complet de sa personnalité, doit grandir dans un environnement familial, dans une atmosphère de bonheur, d'amour et de compréhension. Malheureusement, les cas de violation des droits et des meilleurs intérêts des mineurs sont fréquents. L'État représente, à ce moment, un sujet d'une responsabilité particulière. Chaque question relative aux droits d'un mineur nécessite un examen et une considération spéciale de la violation de ces droits. Par conséquent, le législatif et l'exécutif, ainsi que le pouvoir judiciaire, sont impliqués dans la protection des intérêts de ces membres importants de la société. Les conflits familiaux se caractérisent par leur spécificité, ce qui est particulièrement révélé lors de l'examen des affaires liées aux droits et aux intérêts des mineurs.

Les conflits familiaux se caractérisent par leur spécificité, ce qui est particulièrement révélé lors de l'examen des affaires liées aux droits et aux intérêts des mineurs. Le but de cet article est de définir l'essence des caractéristiques juridiques procédurales du règlement des différends familiaux comme une condition préalable à la protection de l'intérêt supérieur du mineur et de mettre en évidence les lacunes législatives liées à ces différends, de trouver les moyens nécessaires pour les éliminer. Les questions abordées dans cet article se réfèrent aux dispositions juridiques internationales, selon lesquelles la législation actuelle, reflétant la réalité de la Géorgie, a été plus ou moins mise en œuvre.

სარჩევი

შესავალი.....7

1.ინკვიზიციურობის პრინციპი სამართალწარმოებაში.....9

1.1. ინკვიზიციური პრინციპის არსი სამოქალაქო სამართალწარმოებაში.....12

1.2.ინკვიზიციურობა როგორც საოჯახო სამართლებრივი დავების განხილვის პრინციპი.....151.

3.ინკვიზიცია საფრანგეთის კანონმდებლობაში .....18

2.საოჯახო დავის ცნება-ამ ტიპის დავების განხილვა სხვა კატეგორიის სამოქალაქო დავებისგან დამოუკიდებლად.....20

2.1.საოჯახო საქმეზე დავის კვალიფიკაცია.....21

2.2.საოჯახო საქმეთა განხილვის სპეციფიკა.....25

2.3.განსხვავებები საოჯახო და სხვა სახის დავების განხილვისას საერთო სასამართლოებში.....283.

არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვის ფუნდამენტური სტანდარტი.....303.

1.ბავშვის საუკეთესო ინტერესების განმარტება.....33

3.2.ბავშვის მიერ აზრის გამოხატვის უფლება- “ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის,, მე-12 მუხლი.....35

3.3. ბავშვის მოსმენა და მისი მოსაზრებების გათვალისწინება სამოქალაქო სამართალწარმოების დროს.....39

4.მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობის სავალდებულოობის პრინციპი საოჯახო საქმეში.....42

5.არასრულწლოვანის უფლება- დამოუკიდებლად აღძრას სარჩელი.....47

5.1.ინტერესთა კონფლიქტი არასრულწლოვანსა და მის კანონიერ წარმომადგენელს შორის.....496.

დროებითი განკარგულების ინსტიტუტი.....51

6.1.მხარის სოციალური მდგომარეობის გავლენა დროებითი განკარგულების შინაარსზე.....546.

3.ფრანგული პრაქტიკის ანალიზი .....55

7.ბავშვთა უფლებების მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილებები კანონმდებლოებაში.....57

7.1.სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები.....60

7.2.ხარვეზიკანონმდებლობაში.....61

8. დასკვნა .....64

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს განხილული იქნას, საოჯახო დავების განხილვის საპროცესო სამართლებრივი თავისებურებანი არასრულწლოვანის ინტერესების დაცვის ჯრილში, მოხდეს მისი სამართლებრივი ანალიზი. ნაშრომის მიზანია, საოჯახო დავების განხილვის საპროცესო სამართლებრივი თავისებურებების, როგორც არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვის წინაპირობის არსის განსაზღვრა და ასეთ დავებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზების გამოკვეთა, მისი აღმოფხვრისათვის აუცილებელი გზების ძიება. ნაშრომი ცხრა თავისაგან შედგება, რომელთა შორისაა შესავალი და დასკვნითი ნაწილი. დანარჩენ ნაწილებში განხილული საკითხები, შესაძლებლობას იძლევა პასუხი გავცეთ შესავალში წამოჭრილ პრობლემებს. ნაშრომის პირველი თავი მოიცავს, სამართალწარმოებაში არსებულ ინკვიზიციურობის პრინციპს . ამ თავში საუბარია ინკვიზიციურობის, როგორც ზოგადად სამართლის ცალკეულ დარგებში არსებულ, ასევე სამოქალაქო სამართალში, კერძოდ საოჯახო სამართლებრივი დავების განხილვის დროს გამოყენებად ფუნდამენტურ ინკვიზიციურობის პრინციპზე.

ნაშრომის მეორე თავი საოჯახო დავის ცნებას და საოჯახო საქმეთა სხვა კატეგორიის სამოქალაქო საქმეთაგან დამოუკიდებლად განხილვის პრინციპს ეძღვნება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დავის საოჯახო დავად კვალიფიკაციის და საოჯახო დავების სხვა კატეგორიის დავებთან ერთად განხილვის დაუშვებლობის შესახებ.

მესამე თავში საუბარია ბავშვის მიერ აზრის გამოხატვის უფლებაზე და უფლებაზე იყოს მოსმენილი. აქვე იკვეთება საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში არსებული პრობლემები, რომლებიც „ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის“ მე-12 მუხლს შეეხება. მეხუთე თავი არასრულწლოვანის ინტერესებთან დაკავშირებულ დავათა განხილვისას არასრულწლოვანის ჩაბმის პრინციპს მოიაზრებს. საოჯახო-სამართლებრივი დავების განხილვის კიდევ ერთი თავისებურება იმაში

მდგომარეობს, რომ არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებთან დაკავშირებულ საქმეებზე, რომელიც მათ უფლებებსა და ინტერესებს ეხება, სავალდებულოა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩართვა. მეოთხე თვი ეხება მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობის სავალდებულოობის პრინციპი საოჯახო საქმეში.

ნაშრომის მეექვსე თავში საუბარია საოჯახო საქმეებში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობის სავალდებულოობის პრინციპზე .

მეხუთე თვის მიხედვით არასრულწლოვანს უფლება აქვს დამოუკიდებლად აღძრას სარჩელი და დაიცვას საკუთარი ინტერესები სასამართლოში. იგი უფლებამოსილია მისი უფლებების დარღვევისას, აგრეთვე, მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. დავის სასამართლოში განხილვისას სასამართლოს უმთავრესი ფუნქციაა, განუმარტოს არასრულწლოვანს თავისი უფლებები, ასევე მისცეს მას შესაძლებლობა გამოავლინოს საკუთარი შეხედულებების გამოხატვის უნარი. არასრულწლოვანსა და მის კანონიერ წარმომადგენელს შორის ინტერესთა კონფლიქტზეა აქ უკვე მოყვანილია სასამართლო პრაქტიკა საკითხის შინაარსის თვალსაჩინოებისათვის.

ნაშრომის მეექვსე თავი დროებითი განკარგულების ინსტიტუტთან დაკავშირებულ საკითხებს მოიცავს. კერძოდ, საუბარია სსსკ-ის 355-ე მუხლის განსაზღვრულობასა და სამართლებრივ უსაფრთხოებაზე. აღნიშნული თავის მეორე ქვეთავი ეძღვნება მხარის სოციალური მდგომარეობის გავლენას დროებითი განკარგულების შინაარსზე. განხილულია ფრანგული პრაქტიკის ანალიზი საოჯახო დავებთან მიმართებით.

მეშვიდე თავი მოიცავს მნიშვნელოვან ცვლილებებს კანონმდებლობაში, მეერვე თავში გადმოცემულია ჩემი პირადი მოსაზრება , რომლის მიხედვითაც ვფიქრობ, რომ არსებობს ხარვეზი კანონმდებლობაში.

ნაშრომის დასკვნაში აღწერილია ის შედეგები, რომლებიც გამოიკვეთა თემაზე მუშაობის დროს. შემაჯამებელი თეზისები ხაზს უსვავს საკითხის აქტუალობას და პასუხობს ნაშრომის სათაურშივე გამოკვეთილ თემატიკას.



## 1. ინკვიზიციურობის პრინციპი სამართალწარმოებაში

პრინციპი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს დასწყისს, დასაბამს. მოცემულ ტერმინი გამოიყენება რომელიმე თეორიის, მოძღვრების, მეცნიერების ძირითადი ამოსავალი დებულების, სახელმძღვანელო იდეის, აგრეთვე ქცევის ძირითადი წესის აღსანიშნავად<sup>1</sup>.

სამართლებრივი დავების გადაწყვეტის ორი ძირითადი გზა არსებობს: შეჯიბრებითი და ინკვიზიციური პროცესები. ზოგადი განმარტების თანახმად, მათ შორის ფუნდამენტური განსხვავება იმაში მდგომარეობს, თუ ვინ წარმართავს და აკონტროლებს პროცესს. <sup>2</sup> ინკვიზიციურ მოდელში, სასამართლო უშუალოდაა ჩართული საქმის გადაწყვეტის საკითხში, კერძოდ, მოსამართლეები იწყებენ სასამართლო პროცედურებს, აგროვებენ მტკიცებულებებს და განსაზღვრავენ, თუ როგორ უნდა გაიხსნას საქმეში არსებული სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები. <sup>3</sup> ასევე, ნიშნავენ მოწმეებსა და ექსპერტებს, კითხავენ მათ და განსაზღვრავენ ჩვენებების ღირებულებას.<sup>4</sup> საპირისპიროდ, შეჯიბრებით პროცესში საქმის მიმდინარეობა მთლიანად მხარეებს აქვთ მინდობილი (მათ იურისტებს, რომლებიც ახორციელებენ მოწმეთა დაკითხვას),<sup>5</sup> მოსამართლე კი ნეიტრალური „არბიტრის“ ფუნქციას ასრულებს: ის კი არ აწარმოებს დამოუკიდებელ კვლევა-ძიებას, არამედ აფასებს მხარეების მიერ სასამართლოს წინაშე წარმოდგენილ მტკიცებულებებს და წყვეტს საქმეს არსებული ფაქტებისა და არგუმენტების

<sup>1</sup> უცხო სიტყვათა ლექსიკონი, (თბილისი 1973 წელი, 333).

<sup>2</sup> Erin C. Blondel, Victims' Rights in an Adversary System, (Duke Law Journal, Vol. 58, No. 2, 2008, p. 241). ხელმისაწვდომია: [https://www.jstor.org/stable/40040652?seq=5#metadata\\_info\\_tab\\_contents](https://www.jstor.org/stable/40040652?seq=5#metadata_info_tab_contents)

<sup>3</sup> იქვე.(20.10.2020)

<sup>4</sup> Bruno Deffains and Dominique Demougin, The inquisitorial and the adversarial procedure in a criminal court setting, ( Journal of Institutional and Theoretical Economics (JITE), 2008, p. 2). ხელმისაწვდომია: [https://www.researchgate.net/publication/5174463\\_The\\_Inquisitorial\\_and\\_the\\_Adversarial\\_Procedure\\_in\\_a\\_Criminal\\_Court\\_Setting](https://www.researchgate.net/publication/5174463_The_Inquisitorial_and_the_Adversarial_Procedure_in_a_Criminal_Court_Setting) (20.10.2020)

<sup>5</sup> იქვე.

გათვალისწინებით.<sup>6</sup>ზოგადად რომ ვთქვათ, შეჯიბრებით სისტემაში მხარეები თვითონ ირჩევენ, რა მტკიცებულებები წარუდგინონ სასამართლოს ან ტრიბუნალს, ინკვიზიციურ სისტემაში კი სასამართლომ ან ტრიბუნალმა შეიძლება თავად ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედებები ან/და შეაგროვოს ის მტკიცებულებები, რომლებზე დაყრდნობითაც იქნება მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე.<sup>7</sup>საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ორივე ამ პრინციპის გამოყენებას ითვალისწინებს. მათი ერთობლიობა მოსამართლეს მისთვის განსახილველად წარდგენილი საქმის სრულყოფილად შესწავლასა და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანაში უნდა ეხმარებოდეს.<sup>8</sup>

ინკვიზიციურობის პრინციპის არსი ნათლად იკვეთება საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში. ინკვიზიციურობის პრინციპი მოსამართლეს უფლებას აძლევს, საკუთარი ინიციატივით მოიპოვოს მტკიცებულებები, მხარეებს მისცეს მითითებები, მოსთხოვოს მათ სარჩელის ან შეგებებული სარჩელის დაზუსტება, მოიწვიოს მესამე პირები ან მხარეებს დაავალოს გარკვეული მტკიცებულებების მოპოვება. მოსამართლე თავადაც უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა მოპოვებაში,<sup>9</sup> რათა საბოლოოდ, სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანა გაუადვილდეს.საგულისხმოა, რომ მოსამართლეს ეს უფლებები მიანიჭა საქართველოს ადმინისტრაციულმა საპროცესო კოდექსმა.(კოდექსის მე-4 მუხლი).ინკვიზიციურობის პრინციპი სასამართლო ანიჭებს წამყვან როლს ადმინისტრაციული საქმის განხილვისას და საქმის გარემოებათ გამოკვლევის პროცედურის სწორად წარმართვის ვალდებულებაც ადმინისტრაციული საქმის განმხილველ სასამართლოს ენიჭება.<sup>10</sup>

<sup>6</sup> Erin C. Blondel, (დასახელებული ნაშრომი, p. 241).

<sup>7</sup> David Jackson: Adversarial and Inquisitorial Systems Medico-Legal Society of NSW Inc Scientific Meeting, March( 2009, p. 1).

<sup>8</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, სასამართლო მონიტორინგის ანგარიში#1. (2012წელი,საქართველო .გვ.21)

<sup>9</sup> საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი,( მუხლი 4).

<sup>10</sup> კოპალეიშვილი მაია,ნუგზარ სხირტლაძე,ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურვა(რედ).წელი,ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო.(თბილისი, გამომცემლობა,„სიესტა“ 2008 გვ.26)

გარდა სამართლის აღნიშნული მიმართულებისა, ინკვიზიციურობა, როგორც სამართალწარმოების პრინციპი, ასევე გვხვდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, თუმცა აქ ინკვიზიციურობის პრინციპი ხასიათდება გარკვეული თავისებურებით(იხ.შემდეგ თვში).ინკვიზიციურობის პრინციპი მოქმედებს მაშინ, როცა კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში წარმოჩენილია სპეციფიკური საჯარო ინტერესი. ეს ის შემთხვევაა, როდესაც საჯარო ინტერესთა არსებობა გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე<sup>11</sup>. საჯარო ინტერესების არსებობის შემთხვევაში, მხოლოდ მხარეებს არ შეიძლება მივანდოთ ადმინისტრაციული საქმის განხილვის გადაწყვეტისა და ჭეშმარიტების დადგენისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მტკიცებულებებისა და გარემოებების ობიექტურად მოძიების პრეროგატივა. <sup>12</sup> ინკვიზიციურობის პრინციპი, მართალია, მოსამართლეს აძლევს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და დადგენის პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას, თუმცა, ეს თავის მხრივ, არ გულისხმობს და მიუთითებს მხარეთა პასიურობაზე დავათა განხილვის პროცესში, არამედ, მხარეები არათუ უფლებამოსილნი, ვალდებულნიც არიან ხელი შეუწყონ სასამართლოს, რათა მოხდეს საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა და საქმეზე სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღება. სასამართლოს , აკისრია პასუხისმგებლობა მიიღოს მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და უარი არ თქვას აღნიშნულ მტკიცებულებათა განხილვაზე. თუ სასამართლო მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებს არასაკმარისად მიჩნევს, სამართალწარმოებაში ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენებით, თავად, საკუთარი ინიციატივით უნდა დაიწყოს მტკიცებულებათა მოძიება და მოახდენოს მათ გამოკვლევა.

რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას ინკვიზიციურობის პრინციპს, <sup>13</sup> განსხვავებით ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლისაგან,

---

<sup>11</sup> იქვე გვ.26

<sup>12</sup> კოპალეიშვილი მაია,ნუგზარ სხირტლაძე,ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურვა(რედ).ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო.(თბილისი, გამომცემლობა „სიესტა“2008).

<sup>13</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი(2015წლის1 ოქტომბრის მდგომარეობით)(თბილისი2015)148გვ.

ცნობილია, როგორც ე.წ. „საგამოძიებო პრინციპი“. <sup>14</sup> იგი წარმოადგენს შეჯიბრებითობის პრინციპის საპირისპირო პრინციპს<sup>15</sup>საგამოძიებო (ინკვიზიციურ) პროცესში საქმის გარემოებათა გამოკვლევის პრივილეგია არა მხარეებს, არამედ სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელ სახელმწიფო ორგანოებს ეკუთვნით. <sup>16</sup> ინკვიზიციურ მოდელში სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების ლეგიტიმაცია და პროცესის ინდივიდების ბედი, უმთავრესად, სახელმწიფო სტრუქტურებისა და პირების ინტეგრაციასა და სიმართლის დადგენის გზაზე მათ ცხად მიუკერძოებლობაზეა დამოკიდებული.<sup>17</sup>

### 1.1.ინკვიზიციურობის პრინციპის არსი სამოსალაქო სამართალწარმოებაში

ინკვიზიციურობის პრინციპი გვხვდება სამოქალაქო სამართალშიც, მაგრამ აღსანიშნავია , რომ ის განსხვავდება ადმინისტრაციული სამართალწარმოებისაგან, და მას განსხვავებული თავისებურებანი ახასიათებს.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედება გულისხმობს, რომ სასამართლოში ფაქტებს წარადგენენ მხარეები, რომელთა გამოკვლევისა და შეფასების შედეგად მიიღება საბოლოო, შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებამდე, ინკვიზიციურობის პრინციპზე იყო აგებული საქართველოს 1922, 1932, 1964 წლის <sup>18</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსები. 1964 <sup>19</sup> წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, სასამართლო მოვალეა არ დასჯერდეს

---

<sup>14</sup> Keith A. Findley, Adversarial Inquisitions: Rethinking the Search for the Truth, New York Law School Law Review, Vol. 56, No. 911, 2011, p. 18-19, ხელმისაწვდომია: <http://www.amandaknox.com/wp-content/uploads/2014/03/Findley-2011-chapter-clean.pdf> (15.12.2020)

<sup>15</sup> Мещеряков Ю. В. Формы уголовного судопроизводства. (Л., 1990), 22.

<sup>16</sup> Keith A. Findley, დასახელებული ნაშრომი, p. 20

<sup>17</sup> იქვე.

<sup>18</sup> ხრუსტალი ვ., ლილუაშვილი თ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა „სამართალი“, (2007 წელი,) 7.

<sup>19</sup> იქვე.

წარმოდგენილ მასალებს და ახსნა-განმარტებებს და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოარკვიოს საქმის ნამდვილი გარემოებანი. 1964<sup>20</sup> წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებული იყო სამძებრო პრინციპზე, დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი დეკლარირებული იყო აღნიშნული კოდექსით მაგრამ ისინი იყო პარალიზებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მთლიანად ინკვიზიციურმა ბუნებამ გამოიწვია უარყოფითი შედეგები, კერძოდ კი პროცესის მონაწილეთა ინერტულობა, ვინაიდან სასამართლო იყო მთლიანად ვალდებული ფაქტების მითითებაზე და მტკიცებულებების მოძიებაზე; ძირითადად, სასამართლო გადაწყვეტილებითა გაუქმება ზემდგომი ინსტანციის მიერ იმ საფუძვლით, რომ ქვედა ინსტანცია მსაქმეზე არ დაადგინა ობიექტური ჭეშმარიტება.<sup>21</sup>

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შემოღებით შეიცვალა სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების შინაარსი. პროცესის წმინდა ინკვიზიციური ხასიათი დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპზე აგებულმა სისტემამ ჩაანაცვლა.<sup>22</sup> „შეჯიბრებითობის პრინციპი არაა ისეთი დოგმა, რომლის დარღვევა არ შეიძლებოდეს. მხარეებს შეიძლება აღმოუჩინოს დახმარება სასამართლომ საქმის გარემოებების გასარკვევად საჭირო მტკიცებულებათა წარდგენაში. ამრიგად, არა სამძებრო პრინციპი შეჯიბრებითობის შეზავებით, არამედ შეჯიბრებითობის პრინციპი სამძებრო ელემენტების შეზავებით,“<sup>23</sup> . თუმცა, ინკვიზიციურობის პრინციპი გარკვეული დოზით გამოიყენება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის დროს. სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილში

<sup>20</sup> ხოფერია ნ. „შეჯიბრებითობის პრინციპი სამოქალაქო საპროცესო სამართალში,“ შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა. (თბილისი 1999.) გვ 20.

<sup>21</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხები საქართველოს სსრ სასამართლოების პრაქტიკაში. კრებული საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და პროცესის აქტუალური საკითხები, (თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977), 104-127.

<sup>22</sup> ახალაძე მ, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება“, (თბილისი, 2018 ), 8.

<sup>23</sup> ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., ლილუაშვილი გ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, (თბილისი გამომცემლობა „სამართალი“, 2014

<sup>24</sup>საუბარია სასამართლოს ინიციატივაზე მტკიცების პროცესში, მაგრამ სასამართლოს შეუძლია გამოიჩინოს ინიციატივა იმ ფარგლებში, რასაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ცალკეულ შემთხვევებში, ითვალისწინებს. ცხადია, სასამართლოს როლი პროცესის მიმდინარეობის დროს არ უნდა იყოს პასიური<sup>25</sup>, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსამართლე არ უნდა იმყოფებოდეს სტატიკურ მდგომარეობაში, მაგრამ ზომიერება ამ კუთხით დაცული უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო მოგვევლინება, როგორც მხარის ადვოკატი.

დღეის მდგომარეობით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოება მთლიანად აგებულია შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპთა საწყისებზე. ინკვიზიციურობის პრინციპის ამ ორ ფუნდამენტურ პრინციპებთან დაპირისპირება, საშუალებას გვაძლევს სრულყოფილად გავიაზროთ თითოეული მათგანის არსი და მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალწარმოების დროს.

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ ინკვიზიციურობის პრინციპი შეჯიბრებითობის<sup>26</sup> პრინციპთან შედარებით დავათა განხილვის დროს უკეთესი მოდელია ჭეშმარიტების დადგენის თვალსაზრ. სასამართლო გვევლინება „პასიური არბიტრის“ როლში შესაბამისად, იგი მოკლებულია საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის შესაძლებლობას. ასეთ დროს, გასაკვირი არ არის, რომ მოსამართლე, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ მხარეთა მიერ მოპოვებული მასალებით, გადაწყვეტილებას იღებს იმ მხარის სასარგებლოდ, რომელმაც სასამართლოს წარუდგინა მეტად სარწმუნო და დამაჯერებელი არგუმენტაცია.

ინკვიზიციურობის პრინციპის აქტიურად გამოყენება, სასამართლოს ეხმარება მნიშვნელოვანი გარემოებებისა და დეტალების გამორკვევაში, რაც საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების საწინდარია. ამ დროს სასამართლო აქტიური მსმენელის როლში გვევლინება და საქმის არსებითად განხილვის დროს

---

<sup>24</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, (მე-4 მუხლი).

<sup>25</sup> Wolf C., Zeibig N., Evidence in civil law, Germany, published 2015 by Institute for Local Self Government and Public Procurement Maribor, 15.

<sup>26</sup> Keith A. Findley, დასახელებული ნაშრომი, p. 1

უფრო ფართო უფლებები აქვს მინიჭებული.<sup>27</sup> ინკვიზიციურობის პრინციპის მოწინააღმდეგეები<sup>28</sup> ყურადღებას ამახვილებენ შეჯიბრებითი პრინციპის უპირატესობაზე და მიუთითებენ, რომ იგი ემსახურება არა მხოლოდ ფორმალური, არამედ მატერიალური ჭეშმარიტების დადგენას, დავათა განხილვის პროცესში.<sup>29</sup> ისინი უარყოფენ მოსამართლის, როგორც „პასიური მსმენელის“ ფუნქციას და მიუთითებენ მოსამართლის ისეთ უფლებებზე, როგორცაა: მოსამართლის მიერ სასამართლო სხდომის ხელმძღვანელობა, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენა, პროცესის მონაწილე მხარეთა შეკითხვების ეტაპის წარმართვა, მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესში მონაწილეობა. მოსამართლე პროცესის მონაწილე მხარეთა შეკითხვების ეტაპზე, უფლებამოსილია, მხარეებს თავადაც დაუსვას შეკითხვები, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს მოსამართლის მიერ დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვეთას და მატერიალური და ფორმალური ჭეშმარიტების დადგენას, რის საფუძველზეც სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული გადაწყვეტილება.

## 1.2. ინკვიზიციურობა როგორც საოჯახო სამართლებრივი დავების განხილვის პრინციპი

ინკვიზიციურობის პრინციპი სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში გამოიყენება საოჯახო სამართლებრივ დავათა განხილვისას და მას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის თვალსაზრისით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ სასამართლოს

---

<sup>27</sup> მერებაშვილი ი., სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას, მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, (2009 წელი,) N4 (23).

<sup>28</sup> Keith A. Findley, Adversarial Inquisitions: Rethinking the Search for the Truth, New York Law School Law Review, Vol. 56, No. 911, 2011, p. 18-19, p. 19.

<sup>29</sup> Хрестоматия по гражданскому процессу Под М.К Треушникова, 71-72

შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.<sup>30</sup> მართალია საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობები განეკუთვნება კერძო სამართლის რეგულირების სფეროს, თუმცა ამ ურთიერთობების განვითარებითა და სიმტკიცით დაინტერესებულია მთელი საზოგადოება.<sup>31</sup> ამ მოსაზრებით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ სასამართლოს, რომელიც იხილავს კონკრეტულ საოჯახო-სამართლებრივ დავას, მინიჭებული აქვს ფართო უფლებები, თვითონ, თავისი ინიციატივით მიიღოს ყველა ზომა, რათა დაადგინოს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და გამოიტანოს სამართლიანი გადაწყვეტილება, კერძოდ: ა) სასამართლოს შეუძლია თვითონ განსაზღვროს მტკიცების საგანი, ე.ი. იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა. მხარეთა მიერ მითითებული გარემოებებით სასამართლო, ამ შემთხვევაში, შეზოგადოება არაა. ბ) თვითონ თავისი ინიციატივით გამოითხოვოს არა მარტო ის მტკიცებულებები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები, არამედ რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ, მაგრამ რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა მტკიცების საგანში შემავალ დასადგენ (სადიებელ) გარემოებათა დასადასტურებლად.<sup>32</sup>

აღსანიშნავია, რომ მოსამართლის ამგვარი „თავისუფლება“ განპირობებულია სწორედ საოჯახო დავათა დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით და მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესით ამგვარი კატეგორიის საქმეთა მიმართ.<sup>33</sup>

საოჯახო დავათა განხილვისას ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარეები სასამართლოს მიმართავენ ამა თუ იმ მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე<sup>34</sup> შუამდგომლობით და მიუთითებენ, რომ მათ მიერ მტკიცებულებათა მოპოვება

<sup>30</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 354, ნაწილი პირველი

<sup>31</sup> შენგელია რომან, ეკატერინე შენგელია „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“, (თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2011) გვ. 24-25

<sup>32</sup> თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამომუშავებული და შესწორებული გამოცემა, (თბილისი, „სამართალი“, 2007)

<sup>33</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, (მუხლი 128) მოსამართლეთა შევითხვები.

<sup>34</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. (მუხლი 103) მტკიცებულებათა შეგროვება.



მცდელობის მიუხედავად ვერ მოხერხდა. სტატისტიკურად ხშირია სასამართლოში წარდგენილი სარჩელები ალიმენტის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით.<sup>35</sup> (როგორც წესი, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა ხდება ურთიერთშეთანხმებით).<sup>36</sup> “პირს, რომელიც ითხოვს ალიმენტის დაკისრებას და ალიმენტის გადამხდელს შორის, თუ შეთანხმება ვერ შედგა, ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს მეუღლეთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით,„<sup>37</sup> ალიმენტის დაკისრების მოთხოვნით სასამართლოსათვის წარდგენილი სარჩელით, ზოგ შემთხვევაში, მოსარჩელები ითხოვენ სასამართლომ მოახდინოს სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“ მოპასუხის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა. ამგვარი შუამდგომლობა მოსარჩელემ შეიძლება დააყენოს, მოპასუხის სამუშაო დაწესებულებიდან მისი ყოველთვიური ხელფასის ოდენობის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზეც. სასამართლო ასეთ დროს იღებს განჩინებას მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ და შესაბამისი ორგანიზაციიდან გამოითხოვს იმ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომლის მიღებაც საჭირო და ამავედროულად აუცილებელია საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად. სასამართლო ასეთ შემთხვევაში, მიუთითებს შეჯიბრებითობის პრინციპზე,<sup>38</sup> ყურადღებას ამახვილებს მხარეთა თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებზე, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. რაც შეეხება ინკვიზიციურობის ელემენტს,<sup>39</sup> იგი განსაკუთრებით იკვეთება მაშინ, როდესაც, მართალია მხარე არ უთითებს სასამართლოს მიერ გარკვეული ინფორმაციისა თუ მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე, თუმცა ამგვარი ინფორმაციისა თუ მტკიცებულების გამოთხოვა და საქმეზე დართვა მნიშვნელოვანია საოჯახო დავათა

<sup>35</sup>ლადო ჭანტურია „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი„წიგნი მეხუთე,(თბილისი, გამომცემლობა „სამართალი„2000) გვ- 64-65

<sup>36</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,( მუხლი-1128).

<sup>37</sup> საქართველოს სამოსალაქო კოდექსი,( მუხლი-1214).

<sup>38</sup> Maeshin D., THE RUSSIAN STYLE OF CIVIL PROCEDURE, Published by Emory (International Law Review, 2007), 549, 560

<sup>39</sup> Machnikowska A., Stawarska-rippel A., THE PRINCIPLES OF CIVIL PROCEDURE IN POLAND IN THE TWENTIETH CENTURY.( DOCTRINE, DRAFTS AND LAW IN A COMPARATIVE PERSPECTIVE, 2016 y). 91, 94

„განსაკუთებულობიდან” გამომდინარე სხვა კატეგორიის დავებთან შედარებით. რომ დავებზე აღიქმის დაკისრების თაობაზე სარჩელებს, სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხისათვის აღიქმის დაკისრება ან/და წარსული დროის აღიქმის დაკისრება, მაგრამ მხარე სასამართლოს არ წარუდგენს ინფორმაციას მოპასუხის ყოველთვიური შემოსავლის ოდენობის შესახებ და არც შუამდგომლობას აყენებს ასეთი მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო შეუძლია სსსკ-ის 354-ე<sup>40</sup> მუხლის პირველი ნაწილის გამოყენება და აღნიშნავს, რომ ინკვიზიციურობის პრინციპის თანახმად, რომელიც გამოიყენება საოჯახო დავათა განხილვის დროს, სასამართლოს უფლება აქვს, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად, იმდენად რამდენადაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის თანახმად, საოჯახო დავათა განხილვის დროს სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნაგანმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ<sup>41</sup>.

### 1.3 ინკვიზიცია საფრანგეთის კანონმდებლობაში

ფრანგი მეცნიერი ჟ. მური, მიუთითებს, რომ პროცესში მხარეთა აქტიური დამოკიდებულების განვითარების მიუხედავად, კანონმდებელმა არ უნდა დაივიწყოს თავად მოსამართლეთა დისკრეციული უფლებების შესახებ. მოსამართლეს უნდა შეეძლოს, მტკიცებულებათა სწორად შეფასების მიზნით, თანამდებობრივი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოითხოვოს ნებისმიერი

<sup>40</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 354

<sup>41</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1273-2018,( 2018 წლის 14 დეკემბერი). გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> (28.11.2020)

მტკიცებულება, რომლებსაც მხარეები ეყრდნობიან, იმისგან დამოუკიდებლად იყო თუ არა ამის შესახებ მხარეთა შუამდგომლობა<sup>42</sup>. სასამართლოში საქმისწარმოების პროცედურის ინკვიზიციური ხასიათის ხარისხსზე მიუთითებს ისეთი ნორმები, რომლებითაც სასამართლოს აქტიური როლი მართლმსაჯულების განხორციელებაში სავალდებულო ხასიათისაა, თუ ეს მხოლოდ მის უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება. იგივე პრინციპებია მოცემული, საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-185-ე<sup>43</sup> მუხლებში, რაც განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილში. თუმცა, საყურადღებოა, საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის დათქმა, რომლის თანახმად, მოსამართლემ უნდა გამოითხოვოს მტკიცებულებები თუ ისინი აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის. იგივე შინაარსია გაატარებული, ამავე კოდექსის 254-ე მუხლში,<sup>44</sup> კერძოდ სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს მტკიცებულების სასამართლოში წარდგენის შესახებ საკითხი, თუ ამ ტკიცებულებას საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

მოსარჩელე და მოპასუხე ვალდებულნი არიან დაარწმუნონ მოსამართლე მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგულ სამართალში სასამართლოს არ ეკუთვნის მტკიცების ინიციატივა, თუ მოსამართლე ჩათვლის, რომ გარკვეულ მტკიცებულებებს არსებითი მნიშვნელობა აქვს და ისინი მხარეებს არ წარმოუდგენიათ, მას თავად შეუძლია, თავისი ინიციატივით გამოითხოვოს საჭირო მტკიცებულებები.<sup>45</sup>

---

<sup>42</sup> მერებაშვილი ი., სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას, მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, (2009 წელი, N4 (23)), 20. ნაშრომიდან: Moury J. les moyeens de droit a travers les articles 12 et 16 du nouveau Code de procedure civile. TRese. P. 1986. 109

<sup>43</sup><https://www.legifrance.gouv.fr/> (01.01.20)

<sup>44</sup> [https://www.legifrance.gouv.fr/codes/article\\_lc/LEGIARTI000006410385](https://www.legifrance.gouv.fr/codes/article_lc/LEGIARTI000006410385) (15.12.2020)

<sup>45</sup> Жюлио Л. де ла Морандьер., Гранданское право Франции, Т. 1, Перевод с французского, М., 1958, 168-169

## 2. საოჯახო დავის ცნება - ამ ტიპის დავების განხილვა სხვა კატეგორიის სამოქალაქო დავებისგან დამოუკიდებლად

1970 წლიდან არსებობდა საქართველოს საქორწინო და საოჯახო კოდექსი. იგი არეგულირებდა ოჯახთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ტერმინი „ოჯახი“ თურქული წარმოშობისაა და ნიშნავს კერას, სახლს სახლეულს. იგი ძველ ქართულში არ გვხვდება.<sup>46</sup> 1997 წელს მიღებულ სამოქალაქო კოდექსში მოქცეულ იქნა საოჯახო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირება და გაუქმდა მანამდე არსებული საქორწინო და საოჯახო კოდექსი.<sup>47</sup> საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებს გარკვეული თავისებურებები ახასიათებს. ამდენად, მნიშვნელოვანია, საოჯახო სამართლის სტატუსის განსაზღვრა სამოქალაქო სამართლებრივ სისტემაში და სამოქალაქო სამართლებრივ ნორმებთან საოჯახო სამართლებრივი ნორმების შერწყმისა და შეთავსების პროცესი. ზოგადად, სამოქალაქო კოდექსი „აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს“.<sup>48</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, საოჯახო ურთიერთობები სამოქალაქო ურთიერთობების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. თუმცა, აქვე ჩნდება ლოგიკური შეკითხვა: თუ რამ განაპირობა საოჯახო ურთიერთობების სამოქალაქო კოდექსში ცალკე, მეხუთე წიგნში მოთავსება, თუკი საოჯახო ურთიერთობები მოხსენიებულია კერძო ხასიათის ქონებრივი და პირადი ურთიერთობების გვერდით. საოჯახო დავები სხვა კატეგორიის სამოქალაქო საქმეთაგან დამოუკიდებლად განიხილება, რაც ცხადყოფს და ხაზს უსვამს საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავათა სპეციფიურ ხასიათს და მათ „განსაკუთრებულობას“ სხვა კატეგორიის სამოქალაქო დავებთან მშედარებით<sup>49</sup>. საოჯახო სამართალიში სუბიექტებს გააჩნიათ სპეციფიკური უფლებაუნარიანობა და

<sup>46</sup> ივ. ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. (თბილისი, 2002.) გვ. 516, 597.

<sup>47</sup> ჭანტურია, ვ. შესავალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში. (თბილისი გამომცემლობა „სამართალი“. 1997) გვ. 30.

<sup>48</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. (მუხლი 1). ცნება, მოქმედების სფერო.

<sup>49</sup> ჭანტურია ლადო, ბესარიონ ზოიძე, თედო ნინიძე, რომან შენგელია, ჯონი ხეცურიანი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. (წიგნი მეხუთე,) (თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2000)

ქმედუნარიანობა.საოჯახო უფლებაუნარიანობა ფიზიკურ პირს წარმოემოხა დაბადებისთანავე ხოლო მისი შეწყვეტა ხდება გარდაცვალებით. საოჯახო ქმედუნარიანობა სრული მოცულობით წარმოიშობა 18 წლის ასაკიდან. ამასთან, საოჯახო უფლებამოვალეობის განხორციელების შესაძლებლობა ამ ასაკის მიღწევამდეც სრულად ექმნება საოჯახო კანონმდებლობის შესაბამისად დაქორწინებულ არასრულწლოვნებს.<sup>50</sup>

ასევე 10 წლიდან აუცილებელია გასაშვილებელი პირის თანხმობა, 14 წლიდან არასრულწლოვანს უფლება აქვს დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს.<sup>51</sup>

## 2.1.საოჯახო საქმეზე დავის კვალიფიკაცია

„სოციალური გაგებით ოჯახი არის პირთა ქორწინებაზე, ნათესაობასა და ბავშვის აღზრდაზე დაფუძნებული კავშირი“.<sup>52</sup> „საოჯახო სამართლის რეგულირების საგანია ოჯახის წევრებს შორის წარმოშობილი პირადი და ქონებრივი ურთიერთობები. შესაბამისად, ოჯახი წარმოადგენს იმ პირთა ერთობლიობას, რომელთა შორისაც არსებული ურთიერთობები საოჯახო სამართლით რეგულირდება. საოჯახო სამართალი არეგულირებს ქორწინების, ნათესაობის, შვილად აყვანისა და ბავშვის აღსაზრდელად მიღების, მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების საფუძველზე ოჯახის წევრებს შორის, აგრეთვე, ოჯახის წევრებსა და სხვა პირებს შორის წარმოშობილ პირად და ქონებრივ ურთიერთობებს.“<sup>53</sup>

საოჯახო ურთიერთობები, დგას კერძო ხასიათის პირადი და ქონებრივი ურთიერთობების გვერდით. ამდენად, საოჯახო ურთიერთობები ნამდვილად

---

<sup>50</sup> რ.შენგელია, ე.შენგელია საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი .(თბილისი ,გამომცემლობა „მერიდიანი“2015)გვ47-48.

<sup>51</sup> იქვე.

<sup>52</sup> რ.შენგელია, ე.შენგელია საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი.(თბილისი , გამომცემლობა „მერიდიანი“ 2015)გვ. 11,12.

<sup>53</sup> შენგელია რომან, კატერინე შენგელია,საოჯახო სამართალი.(თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“2011) გვ26.

წარმოადგენს კერძო ხასიათის პირად და ქონებრივ ურთიერთობებს.<sup>54</sup> თუმცა, მხოლოდ აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით ცალსახად ვერ დგინდება საოჯახო სამართლის საგანი. დავის, როგორც საოჯახო საქმის კვალიფიკაციისათვის, მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ რას წარმოადგენს ზოგადად საოჯახო ურთიერთობის საგანი და სად გადის ზღვარი საოჯახო ურთიერთობებსა და სამოქალაქო კოდექსით რეგულირებულ სხვა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს შორის. მითუმეტეს, იმ პირობებში, როდესაც საოჯახო ურთიერთობა, ისევე როგორც სამოქალაქო სამართლით რეგულირებული სხვა სახის სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობანი უკავშირდება პირადი და ქონებრივი ინტერესების დაცვას და ამ ინტერესებიდან გამომდინარე სამოქალაქო უფლებათა და ვალდებულებათა რეალიზებას. პირთა წრეს, რომელთა შორისაც წარმოიშობა საოჯახო ურთიერთობები, მართალია, განსაზღვრულია და წარმოადგენს ის პირები, რომელთა ერთობა ქმნის ოჯახს და რომელთა შორისაც შეიძლება წარმოიშვას კერძო ხასიათის პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, მაგრამ ეს ცალსახად არ ნიშნავს იმას, რომ მათ შორის არ შეიძლება წარმოიშვას სხვა სახის ურთიერთობა. მაგალითად, ცოლსა და ქმარს შორის, რომლებიც იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში და წარმოადგენენ მეუღლეებს, შესაძლოა მათ შორის არსებული საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობისგან განსხვავებული, სულ სხვა სახის ურთიერთობა. ამდენად, „მეუღლეთა შორის წარმოშობილი პირადი და ქონებრივი ურთიერთობა სავსებით შესაძლებელია, სულაც არ შედიოდეს საოჯახო სამართლის რეგულირების სფეროში“.<sup>55</sup> მაგალითად, ოჯახის წევრთა შორის თუ არსებობს სასესხო ან სხვა სახის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, ის დარეგულირდება სახელშეკრულებო სამართლის ნორმებით და არ მოექცევა საოჯახო სამართლის ნორმათა რეგულირების არეალში.<sup>56</sup> მეუღლეთა საერთო ვალები იყოფა მეუღლეებს შორის საერთო ქონებაში თითოეული კუთვნილი წილის

---

<sup>54</sup> შენგელია რომან, ეკატერინე შენგელია, საოჯახო სამართალი. (თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2011) გვ. 25.

<sup>55</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, (1170-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

<sup>56</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 მარტის განჩინება Nას-1035-1228-08 იხ. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr20107.pdf> (18.12.2020)

თანაზომიერად, პასუხისმგებლობა საერთო ვალების გამო ორივე მეუღლეს ეკისრება, და ისინი პასუხს აგებენ როგორც პირადი ასევე საერთოთა ქონებიდან (სსკ-1170-ე).<sup>57</sup> ასევე, შვილის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები გამომდინარეობს დელიქტური სამართლიდან.<sup>58</sup> ეს და სხვა მრავალი ურთიერთობა შეიძლება არ ექცეოდეს საოჯახოსამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირების ჩარჩოში, რაც განაპირობებს დავის კვალიფიკაციას, როგორც სხვა სახის სამოქალაქო სამართლებრივი დავისა და არა როგორც საოჯახო სამართლებრივი დავის კატეგორიისა.

პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, რომელსაც საოჯახო სამართალი არეგულირებს, განსხვავებულია სამოქალაქო სამართლით რეგულირებული სხვა ურთიერთობებისაგან. „წმინდა სამოქალაქო ქონებრივი ურთიერთობები, ძირითადად, ეკონომიკურ-სამეურნეო მოთხოვნილებებზეა დაფუძნებული, ხოლო საოჯახო კი ფიზიკური მოთხოვნილებებისა და ზნეობრივი გრძნობების ერთობაზე. საოჯახო ურთიერთობები უმეტესად ისეთი უფლებების წარმოშობას ედება საფუძვლად, რომლებიც ოჯახის ერთი წევრის პირად დამოკიდებულებას განსაზღვრავს მეორის მიმართ. ამით ოჯახის წევრთა სტატუსის დადგენა ხდება მაშინ, როცა სხვა სახის ქონებრივი ურთიერთობები განსაზღვრულ ქონებასთან დამოკიდებულებით არის განპირობებული. ასეთი ქონებრივი უფლებების ოდენობა და ზღვარი შედარებით ადვილი დასადგენია, მაშინ, როცა, საოჯახო ურთიერთობებში ეს გაძნელებულია მათი უფრო მეტად ზნეობრივი, ვიდრე იურიდიული ხასიათის გამო“.<sup>59</sup>

იმისთვის, რომ დავა საოჯახო სამართლებრივ დავად დაკვალიფიცირდეს, მნიშვნელოვანია, რომ დავა ექცეოდეს საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების რეგულირების სფეროში. საოჯახო ურთიერთობიდან

<sup>57</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (1170-ე მუხლი).

<sup>58</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (994-ე მუხლი).

<sup>59</sup> რ. შენგელია, ე. შენგელია საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. (თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2015).

გამომდინარე ყველა დავის გადასაწყვეტად აუცილებელია მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა რეგულირდებოდეს საოჯახო სამართლებრივი ნორმებით და იმ შემთხვევაში, თუ დავის გადასაწყვეტად საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული, რომლებიც განსაზღვრავენ საოჯახო ურთიერთობათა მონაწილე მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, მათი განხორციელების პირობებსა თუ საშუალებებს, აგრეთვე მხარეთა პასუხისმგებლობის საკითხებს და სხვ. დავა დაკვალიფიცირდება საოჯახო სამართლებრივ დავად. ამასთან, შესაძლებელია, მხარეთა შორის არსებობდეს საოჯახო ურთიერთობა, მაგრამ არ არსებობდეს საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობა. ამის მიუხედავად, შეიძლება დავა მაინც საოჯახო დავად დაკვალიფიცირდეს და შესაბამისად იგი გადაწყდეს საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი კანონმდებლობით.

მაგ.ქალისა და მამაკაცის ფაქტობრივი თანაცხოვრება,<sup>60</sup> მათ მიერ საერთო შვილის აღზრდის საკითხებზე წარმოშობილი ურთიერთობა მიიჩნევა საოჯახო ურთიერთობად, თუმცა მათ შორის არ არსებობს საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობა. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც არარეგისტრირებული ქორწინების დროს დაბადებული ბავშვის ერთ-ერთი მშობელი სარჩელით მიმართავს სასამართლოს ბავშვის ინტერესების დასაცავად. ასეთი დროს მიუხედავად მხარეთა შორის არსებული <sup>61</sup> არარეგისტრირებული ქორწინებისა, ურთიერთობები, მითუმეტეს მაშინ, როდესაც იგი არასრულწლოვანის უფლებებისა და საუკეთესო ინტერესების დაცვას ემსახურება დარეგულირდება საოჯახო სამართლებრივი ნორმებით და დავაც ასეთად დაკვალიფიცირდება. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობები შესაძლებელია დავყოთ რამდენიმე ჯგუფად მათი წარმოშობის საფუძვლებისა და სუბიექტური შემადგენლობის გათვალისწინებით. 1) საქორწინო სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველი ქორწინებაა, ხოლო მისი სუბიექტები

---

<sup>60</sup> იოსელიანი თ. „საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველ მოსამართლეთა ასოციაციის სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი„მართლმსაჯულება და კანონი,, #3(63)გვ.35-36. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2019w-n3.pdf> (27.10.2020)

<sup>61</sup> აბრამიშვილი ლ., გუგავა ა. „მართლმსაჯულება და კანონი,, ფაქტობრივი ქორწინება და მისი სამართლებრივი რეგულირების საკითხი#3(63), (თბილისი 2019წელი), გვ 34.



არიან მეუღლეები ან ყოფილი მეუღლეები; 2) მშობლიური ურთიერთობები, რომელიც მოიცავს მშობლებსა და შვილებს შორის არსებულ ურთიერთობებს; 3) შვილება, ბავშვის მინდობით აღზრდა, მეურვეობა და მზრუნველობა საფუძველია შვილად აყვანის და ბავშვებზე ზრუნვასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების, რომელთა სუბიექტები არიან მშვილებლები, ნაშვილები, დედობილ-მამობილი, შვილობილები. ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები და პირები, რომლებიც მოკლებულნი არიან მეურვეობასა და მზრუნველობას; 4) ოჯახის სხვა წევრებს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები. ამ დაყოფის მეშვეობით ხდება კონკრეტული საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობის გამოყოფა საერთო საოჯახო სამართლებრივი სივრციდან. შესაბამისად, მარტივია მხარეთა შორის წარმოშობილი დავის საგნის ზუსტად განსაზღვრა, რაც საბოლოოდ ამარტივებს საოჯახო სამართლებრივ დავათა კატეგორიისათვის მის მიკუთვნებას.

## 2.2 საოჯახო საქმეთა განხილვის სპეციფიკა

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათალისწინებულია ოთხი სახის წარმოება: 1. სასარჩელო წარმოება, 2. გამარტივებული წარმოება, 3. უდავო წარმოება, 4. საოჯახო ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების წარმოება. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვა ხდება სსსკ-ით დადგენილი წესით. ამასთან, ცალკე თავის სახითაა გამოყოფილი საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები, რომლებსაც, როგორც უკვე აღინიშნა, გარკვეული თავისებურებები ახასიათებს.<sup>62</sup> საოჯახო საქმეთა მთავარი სფეციფიკა ის არის, რომ მნიშვნელოვნად გამოიყენება ინკვიზიციურობის პრინციპი, რა დროსაც გასათვალისწინებელია ბავშვის ინტერესთა უპირატესობა. ერთ-ერთ

<sup>62</sup> ბასილაია ფ., საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, N4(23), 2009, 30

საქმეზე უზენაესი სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საოჯახო დავა განხილვა სსკ-ს 352-356-ე მუხლებით დაშვებული ინკვიზიციურობის გათვალისწინებით, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გამორკვევის მიზნით<sup>63</sup>.

კიდევ ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ ურთიერთობის მონაწილე პირი მოკლებულია შესაძლებლობას, თავისი საოჯახო უფლება გადასცეს სხვა პირს, უარი თქვას მისთვის მინიჭებულ საოჯახო უფლებებსა თუ მოვალეობებზე.<sup>64</sup> საოჯახო უფლებები და მოვალეობები არ შეიძლება შემოიფარგლოს განსაზღვრული დროის მონაკვეთით, ამასთან, აღნიშნული უფლებებითა და მოვალეობებით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ ასეთად აღქურვილ ფიზიკურ პირებს. საოჯახო ხასიათის ურთიერთობები უფრო მეტად აბსოლუტური ხასიათის მატარებელია, ვიდრე ნებისმიერი სხვა სახის პირადი და ქონებრივი ურთიერთობა, გარდა ამისა, საოჯახო სამართლით რეგულირებული ურთიერთობების მიმართ არსებობს მომეტებული საჯარო ინტერესი, რაც გამოკვეთს სამართლის ამ დარგის საჯარო ხასიათს სამოქალაქო სამართლის სხვა დარგებისაგან განხვავებით.<sup>65</sup>

საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი სამართლებრივი საქმეები არ შეიძლება განიხილებოდეს სხვა ხასიათის მოთხოვნების შესახებ აღძრულ საქმეებთან ერთად (სსკ-ის 354-ე მუხლის მე-2 ნაწილი). „საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი საქმეები არ შეიძლება განიხილებოდეს სხვა ხასიათის მოთხოვნების შესახებ აღძრულ საქმეებთან ერთად,“<sup>66</sup> სარჩელის აღძვრის დროს, მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ, იმისგან დამოუკიდებლად, ერთსა და იმავე საფუძვლებს ემყარება ეს მოთხოვნები თუ - არა.<sup>67</sup> საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების დროსაც

<sup>63</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1210-1130- 2017,( 7 მარტი 2018 წელი). გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> (01.10.2020).

<sup>64</sup> ჭანტურია ლ.ესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილში.(თბილისი 2,გამომცემლობა „სამართალი“ 2000). გვ102-103.

<sup>65</sup> ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, (თბილისი გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014 ), 384.

<sup>66</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, (354-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

<sup>67</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, (182-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

ასეთი გაერთიანება, შეერთება რამდენიმე მოთხოვნისა, დასაშვებია, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით - თუ ეს მოთხოვნები საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოიშობა. მაგალითად, განქორწინების საქმის გადაწყვეტასთან ერთად, მეუღლებს შეუძლიათ მოითხოვონ ქონების გაყოფაც. რადგან ორივე ეს მოთხოვნა წესრიგდება საოჯახო სამართლით, სასამართლომ უნდა განიხილოს ეს მოთხოვნები. მაგრამ განქორწინების საქმესთან ერთად არ შეიძლება განხილულ იქნეს, სესხის, ქირავნობის, ზიანის მიყენების და ა.შ. წარმოშობილი ურთიერთობების საფუძველზე აღძრული საქმეები, რადგან ასეთი კატეგორიის საქმეები არ განეკუთვნება საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ საქმეთა კატეგორიას.<sup>68</sup> ბავშვის უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სამართალწარმოებისას სასამართლო ხელმძღვანელობს სსკ-ის 352-ე და 354-ე მუხლებით,<sup>69</sup> რომელთა საფუძველზე დადგენილია საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და სასამართლოს მიერ მხარეთა პრეტენზიების არარსებობის პირობებშიც კი, ბავშვის საუკეთესო და უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით, სასამართლო ხელმძღვანელობს სამართალწარმოების ინკვიზიციურობის პრინციპით<sup>70</sup>.

---

<sup>68</sup> თენგიზ ლილუავილი, ვალერი ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო მოდექსის კომენტარი. (თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“. 2007). ხელმისაწვდომია [https://ru.scribd.com/doc/239905029/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%95-%E1%83%AE%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-2007-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98?fbclid=IwAR3Ea9tf\\_Nx6oWLh6giniFQLRJaCVOha1trRCIRD7lrwowTWoWShxiVMjs](https://ru.scribd.com/doc/239905029/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%95-%E1%83%AE%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-2007-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98?fbclid=IwAR3Ea9tf_Nx6oWLh6giniFQLRJaCVOha1trRCIRD7lrwowTWoWShxiVMjs) (29.11.2020)

<sup>69</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე No.1638/03 MASLOV v. AUSTRIA, 23 ივნისი, (2008 წელი.)

<sup>70</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nas-1273-2018, (14 დეკემბერი, 2018 წელი). გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> (01.10.2020).

დოქტრინაში ზოგადად მიღებულია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ გამოიყენება საოჯახო საქმეების განხილვისას.<sup>71</sup> ცხადია, ეს შეხედულება აბსტრაქტული ხასიათისაა<sup>72</sup>, რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას, ისეთ საოჯახო საქმეების განხილვისას არ გამოიყენება, სადაც ბავშვის ინტერესები ფიგურირებს. სასამართლოს ეს მიდგომა გასაზიარებელია, რადგან სსკ-ს 352-356-ე მუხლების სისტემურად ისეა დეკლარირებული, რომ ძირითადად, დაკავშირებულია ბავშვის უფლების გადაწყვეტის საკითხებთან.

ერთ-ერთ ფუნდამენტურ თავისებურებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ შვილად აყვანასთან, შვილად აყვანის ბათილად ცნობასთან, შვილად აყვანის გაუქმებასთან, მშობლის უფლების შეზღუდვასთან, მშობლის უფლების ჩამორთმევასთან, აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული დავებზე არ მოქმედებს სასამართლო მედიაცია სხვა ყველა კატეგორიის სამოქალაქო დავაზე აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება.<sup>73</sup>

### **2.3 განსხვავებები საოჯახო და სხვა სახის დავების განხილვისას საერთო სასამართლოებში**

საოჯახო დავებში, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილება ისეთი სენსიტიური შემთხვევები, როგორცაა ბავშვის მიკუთვნება, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა მუდმივად ან დროებით. სასამართლო გადაწყვეტილებით ან განჩინებით, მორიგების დამტკიცების თაობაზე, სასამართლო ხაზგასმით ადგენს, თუ როგორ უნდა იქნას გათვალისწინებული ბავშვის საუკეთესო ინტერესები. სამართლებრივი სიკეთე, რომელიც დასაცავია საოჯახო ურთიერთობებში, თავმოყრილია საქართველოს კანონში - სსკ-ი.<sup>74</sup> კოდექსის პირველივე მუხლში

<sup>71</sup> ურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, (მე-2 გამოცემა, თბილისი, გამომცემლობა "მერიდიანი,, 2005.) გვ 828

<sup>72</sup> გაგუა ი., სადისერტაციო ნაშრომი, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, (თბილისი, 2012 წელი, ) 100-101 გვ.

<sup>73</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, (მუხლი 187-ე მესამე პრიმა მუხლის ა, ბ, ნაწილი).

<sup>74</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=108> (28.11.2020)

ვკითხულობთ, რომ „ეს კანონი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს,,<sup>75</sup>

საოჯახო სამართალი, სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნით რეგულირდება. <sup>76</sup> დასაწყისშივე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობები.<sup>77</sup> განვმარტოთ, რას გულისხმობს პირადი ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები : სამართალი, პირად არაქონებრივ და პირად ქონებრივ უფლებებს, პირველ რიგში, მათი ბრუნვაუნარიანობის ხასიათიდან გამომდინარე განასხვავებს.

საოჯახო სამართლებრივი კუთხით, არაქონებრივია მშობლის უფლება, მცირე ხნით მონახულოს შვილი, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, ჰქონდეს მას დროებითი განკარგულება, რომელსაც მოდავე მხარეები დაემორჩილებიან ისევე ამ უფლების რეალიზების საჭიროებიდან გამომდინარე. ბავშვს აქვს უფლება, ნახულობდეს ორივე მშობელს, ეს უფლება არაქონებრივია ხოლო მათ მიმართ დროებითი განკარგულებით ბავშვის რჩენის მოთხოვნა, უკვე პირად ქონებრივ უფლებას წარმოადგენს. საერთო სასამართლოებში, საოჯახო დავები განიხილება იმ სპეციფიკის დაცვით, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIII თავითაა რეგულირებული. <sup>78</sup> ყოველი ინსტანცია ითვალისწინებს მატერიალურ ნორმებს საოჯახო სამართლიდან, პროცესუალურ ნორმებს -სსსკ-, ხოლო დამატებით ითვალისწინებს XLIII თავის მოთხოვნებს. <sup>79</sup>

### **3. არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვის ფუნდამენტური სტანდარტი**

ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა განსაზღვრულია, როგორც ეროვნული

---

<sup>75</sup> საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. (მუხლი 1).

<sup>76</sup> ჭანტურია ლადო, ბესარიონ ზოიძე, თედო ნინიძე, რომან შენგელია, ჯონი ხეცურიანი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეხუთე. (თბილისი , გამომცემლობა „სამართალი,, 2000) გვ. 3.

<sup>77</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. (მუხლი 1152).

<sup>78</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. (მუხლი 352).

<sup>79</sup> პ.ს (რომელიც ძირითადად იმიტომ არის კანონში, რომ მისი მეშვეობით მოხდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა. )

კანონმდებლობით, ისე საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით <sup>80</sup>. ბავშვთა უფლებები როგორც საერთაშორისო, ასევე ყოველი კონკრეტული სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის ნაწილია და მათი დაცვის ვალდებულება თითოეულ სახელმწიფოს ეკისრება. ბავშვთა უფლებებზე საუბრისას, უმნიშვნელოვანესია, ხაზი გაესვას იმ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ დოკუმენტებს, რომლების სრულად ასახავს მათ უფლებათა რეალიზაციის პროცესსა და საშუალებებს.

1989 წლის 20 ნოემბერს გაეროს ეგიდით, გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი აქტი, როგორცაა „კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ“. <sup>81</sup> აღნიშნულმა კონვენციამ შეცვალა ბავშვების აღქმაც და მათდამი დამოკიდებულებაც. კონვენცია აღიარებს, რომ ბავშვებს განსაკუთრებული ზრუნვა და დაცვა სჭირდებათ. ბავშვის უფლებათა კონვენცია საერთაშორისო დონეზე ბავშვის უფლებების პირველი კრებულია და სავალდებულოა, ეს უფლებები თითოეული ბავშვისთვის იყოს გარანტირებული. ბავშვის უფლებათა კონვენცია ისტორიაში ყველაზე მეტი ქვეყნის მიერ არის რატიფიცირებული. კონვენცია 54 <sup>82</sup> მუხლისაგან შედგება და ის აყალიბებს ბავშვთა კეთილდღეობის მინიმალურ სტანდარტებს მათი განვითარების თითოეული ეტაპისათვის. ეს დოკუმენტი 18 წლამდე ყველა ადამიანს ეხება. <sup>83</sup> „ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციას“ საქართველო 1994 წლიდან მიუერთდა. <sup>84</sup> 2014 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ბავშვის უფლებათა კონვენციის მესამე ფაკულტატურ ოქმი - „ფაკულტატური ოქმი შეტყობინების პროცედურების შესახებ“, <sup>85</sup> აღნიშნული ოქმი ბავშვებს

---

<sup>80</sup> Falch-Eriksen A., Backe-Hansen E., Human Rights in Child Protection, (Norway 2018 y), 31-32.

<sup>81</sup> კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, პრეამბულა, ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> (28.10.2020)

<sup>82</sup> <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.martl3.pdf> (29.11.2020)

<sup>83</sup> <https://www.unicef.org/georgia/ka/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90> (20.10.2020)

<sup>84</sup> <http://www.parliament.ge/uploads/other/132/132680.pdf>

<sup>85</sup> ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი შეტყობინებების პროცედურების შესახებ, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 2011. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3580102?publication=0> (06.12.2020)

საშუალებას აძლევს მათი უფლებების დარღვევის შემთხვევები პირდაპირ ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტს შეატყობინონ, რომელიც თავის მხრივ მეთვალყურეობას უწევს კონვენციის შესრულებას. საქართველო აღნიშნული ოქმის ხელმომწერია, იგი ვალდებულია დაიცვას ოქმით გათვალისწინებული და დაცული ბავშვთა უფლებები.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 <sup>86</sup> პუნქტის მიხედვით, „ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით“, რომელშიც მოაზრება ის საკანონმდებლო ბაზა, რაც ამ კუთხით მოქმედებს.

სამოქალაქო კოდექსის 1199-ე მუხლის თანახმად, „მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიაღგეს ბავშვის ინტერესებს.“ <sup>87</sup> შვილების ინტერესში იგულისხმება ზნეობისა და კანონის მოთხოვნათა შესაბამისად მათ აღზრდასთან დაკავშირებული ყველა ინტერესი.<sup>88</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 352-356-ე <sup>89</sup> მუხლები წარმოადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გამორკვევის პროცესუალურ სამართლებრივ მექანიზმს. სწორედაც, რომ მოყვანილი ნორმების რეგლამენტირებით კანონმდებელმა შექმნა ბავშვის ინტერესების დაცვის მაღალი სტანდარტი საოჯახო საქმის განხილვისას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმები სრულად შეესაბამება ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციით ბავშვთა უფლებების დამცავ ნორმებს, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად ადგენს ბავშვის ინტერესების დაცვის პრიორიტეტს. <sup>90</sup> (მაგრამ , არსებობს გარკვეული ხარვეზებიც) ამასთან, ეს ინტერესი არ შეიძლება ვიწროდ იქნეს გაგებული. არ არის გამორიცხული, რომ მშობლების მხრივ, შვილების ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედებამ გამოიწვიას შესაბამისი პასუხიმგებლობა. ბავშვი ეკუთვნის არა მარტო მშობლებს, არამედ მთელ

---

<sup>86</sup> საქართველოს კონსტიტუცია , (30-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტი).

<sup>87</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,(მუხლი 1199).

<sup>88</sup> შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი.(თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“,2017)172.

<sup>89</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, (მუხლი352-356).

<sup>90</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1062-996-2012,( 22 იანვარი, 2013 წელი). გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> (05.11.2020).



საზოგადოებას, უპირველესად კი სახელმწიფოს. ამიტომ ბავშვის აღზრდა განიხილება, როგორც დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმე და მიიჩნევა არა მარტო ზნეობრივ, არამედ სამართლებრივ მოვალეობადაც<sup>91</sup>. „კონვენციასთან შესაბამისობაში საქართველოს კანონმდებლობის მოყვანის პროცესი დღესაც აქტუარულია. ის გამოწვევები, რომლის წინაშეც დღეს საქართველო დგას, შესაბამის გამოწვევებს განაპირობებს საქართველოს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიმართ. ამ გამოწვევათაგან ერთერთს არასრულწლოვანის უფლებათა დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის მიერ აღიარებულ საერთაშორისო და შესაბამისად ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაცია წარმოადგენს“<sup>92</sup>.

2019 წლის 20 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა ბავშვთა უფლებათა კოდექსი მიიღო.<sup>93</sup> ეს ყოვლისმომცველი სამართლებრივი დოკუმენტია, რომელსაც საქართველოში ბავშვების ცხოვრების გარდაქმნა შეუძლია. ბავშვის უფლებათა კოდექსი შემდეგ ძირითად პრინციპს ეყრდნობა: ყველა სამართლებრივი და ადმინისტრაციული პროცედურა უნდა განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ეს კოდექსი წარმოადგენს დოკუმენტს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ საქართველოს ხელისუფლების ორგანოებმა, მუნიციპალიტეტის ორგანოებმა, სხვა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, საერთო სასამართლოებმა, საჯარო და კერძო სამართლის სუბიექტებმა და ფიზიკურმა პირებმა ბავშვებთან და ბავშვის საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების დროს. პრაქტიკაში ეს იმას ნიშნავს, რომ კოდექსი ისეთ იურიდიულ გარანტიებს იძლევა, რომლებიც უადვილებენ ბავშვებს დამოუკიდებლად დაიცვან თავიანთი უფლებები მართლმსაჯულების ბავშვზე მორგებული ინსტიტუტებისა და სხვა მექანიზმების საშუალებით. აღსანიშნავია, რომ

---

<sup>91</sup> შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. (თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017 წელი) 164

<sup>92</sup> არასრულწლოვანთა უფლებების ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სრულყოფის პერსპექტივები”, I. არასრულწლოვანთა უფლებების ევროპული სტანდარტის მთავარი სამართლებრივი წყარო - ეკა ზარნაძე

<sup>93</sup> საქართველოს კანონი, ბავშვის უფლებათა კოდექსი. ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=1> (29.10.2020)



ისეთი ახალი მექანიზმების დანერგვის შედეგად, როგორცაა ბავშვის უფლებების დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, ბავშვთა უფლებების სახელმწიფო პოლიტიკაზე მუშაობის პროცესი უფრო სისტემატიზებულ და კოორდინირებულ ხასიათს მიიღებს. ისინი აგრეთვე ხელს შეუწყობენ კანონმდებლობის, ბიუჯეტის შედგენისა და საპარლამენტო მონიტორინგის გაუმჯობესებას. კოდექსი კრძალავს ფიზიკურ დასჯას ყველა ტიპის გარემოში. საქართველო გახდა მსოფლიოში 58-ე ქვეყანა, სადაც ფიზიკური დასჯა სრულად არის აკრძალული.<sup>94</sup>

### 3.1 ბავშვის საუკეთესო ინტერესის განმარტება

ევროპის საბჭოს კომიტეტი განმარტავს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება სამგანზომილებიანია.<sup>95</sup>

ა) მატერიალური უფლება: ბავშვის (ბავშვთა ჯგუფის, ზოგადად ბავშვების) უფლება მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და დაეთმოს უპირველესი ყურადღება მასთან დაკავშირებით ნებისმიერ საკთხზე გადაწყვეტილების მისაღებად. ესაა კონვენციით დადგენილი. სახელმწიფოს არსებითი ვალდებულება, რომელიც პირდაპირ უნდა იქნეს გამოყენებული და დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრდეს სასამართლოში.

ბ) ფუნდამენტური სამართლებრივი პრინციპი: თუ ეროვნულ კანონში, სამართლებრივი ნორმა იძლევა ერთზე მეტი განმარტების საშუალებას, გამოყენებულ უნდა იქნას ის განმარტება, რომელიც ყველაზე მეტად ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, როგორც მოცემულია კონვენციასა და მის დამატებით ოქმში.

გ) საპროცესო ნორმა : ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა, მოითხოვს საუკეთესო გარანტიებს, უფრო მეტიც, ბავშვთან,

<sup>94</sup> [https://endcorporalpunishment.org/wp-content/uploads/country-reports/Georgia\\_KA.pdf](https://endcorporalpunishment.org/wp-content/uploads/country-reports/Georgia_KA.pdf) (25.10.2020)

<sup>95</sup> ევროპის საბჭოს ბავშვის უფლებათა კომიტეტი . ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N14 ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების შესახებ პარაგრაფი 16 . სტრასბურგი.

ბავშვთა ჯგუფთან ან ზოგადად ბავშვებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს ამ უფლების უპირატესად გათვალისწინების დასაბუთებას. კერძოდ, დასაბუთებაში უნდა იქნას ახსნილი, რა იქნა მიჩნეული ბავშვის საუკეთესო ინტერესებად; რა კრიტერიუმებს დაეფუძნა ასეთი მსჯელობა და როგორ იქნა დადგენილი ბავშვის საუკეთესო ინტერესები სხვა პირთა ინტერესებთან მიმართებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ ამ სამ განზომილებას განვიხილავთ ერთიან, პროცესუალურ კონტექსტში, შიდაორმატიული რეგულირება უნდა იყოს ზუსტი და თანმიმდევრული საიმისოდ, რომ კანონმა დაიცვას ბავშვის საუკეთესო ინტერესები და შინარჩუნოს ბალანსი სხვა პირთა და სახელმწიფოს ინტერესებთან.

არასრულწლოვანის ინტერესებთან დაკავშირებულ დავათა განხილვისას, გასათვალისწინებელია, არასრულწლოვანის ასაკი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა იმპერატიულად არ ადგენს, თუ რა ასაკიდან შეიძლება განხორციელდეს ბავშვის მოსმენის უფლება, რომელიც არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების გამორკვევის წინაპირობაა, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ის საპროცესო თავისებურებები, რომელიც არასრულწლოვანებთან დაკავშირებულ დავათა განხილვის დროს პირდაპირ და უშუალო კავშირშია არასრულწლოვანის ასაკთან. სსსკ-ის 81.3 მუხლის სუბიექტის მინიმალური ასაკობრივი ზღვარი შვიდი წელია, მატერიალური კანონმდებლობით კი ათი წელი. მატერიალურ სამართლებრივი მოუწესრიგებლობა საკითხისა, და პროცესუალურ სამართლებრივი ბუნდოვანება ხელს უწყობს ბავშვის უფლების დარღვევას და შესაბამისად, აფერხებს სადავო საკითხის გადაწყვეტას ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.<sup>96</sup>

---

<sup>96</sup> „არასრულწლოვანთა უფლებების ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სრულყოფის პერსპექტივები, 1. „არასრულწლოვანთა უფლებების ევროპული სტანდარტის მთავარი სამართლებრივი წყარო“ - ეკა ზარნაძე

### 3.2. ბავშვის მიერ აზრის გამოხატვის უფლება - „ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის“ მე-12 მუხლი

ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის” მე-12 მუხლით დადგენილია, <sup>97</sup> რომ მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება. ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად.<sup>98</sup> აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად, ბავშვს ეძლევა შესაძლებლობა მოუსმინონ მას და საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც უშუალოდ მას უკავშირდება, მონაწილეობა მიაღებინონ საქმის განხილვის პროცესში. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება უნდა მოიცავდეს ბავშვის უფლების პატივისცემას, თავისუფლად გამოხატოს თავისი მოსაზრება ყველა საკითხზე, რომელიც მასზე ზეგავლენას ახდენს და მის მიერ გამოთქმული მოსაზრებისათვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭებას.

ზოგადი კომენტარი ბავშვის უფლებების კომიტეტმა 2009 წლის 20 ივლისს გამოაქვეყნა (CRC/C/GC/12) <sup>99</sup> : ყველა ბავშვის უფლება მოუსმინონ და მათი შეხედულება აღიქვან სერიოზულად, წარმოადგენს კონვენციის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას. ბავშვის უფლებების კომიტეტმა მუხლი 12 განსაზღვრა, როგორც კონვენციის ოთხი ძირითადი პრინციპის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი. „ბავშვის საუკეთესო ინტერესები არის მთავარი საზრუნავი ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, რომელიც ბავშვებს

---

<sup>97</sup> CRC, ზოგადი კომენტარი No. 12 (2009): ბავშვის უფლება, იყოს მოსმენილი და გაგონილი, CRC/C/GC/12, 20 ივლისის 2009 (შემდგომში “CRC, ზოგადი კომენტარი No. 12”) <http://www.unhcr.org/refworld/docid/4ae562c52.html> (29.11.2020)

<sup>98</sup> „კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ“ (1989 წლის 20 ნოემბერი), მე-12 მუხლის 1-ლინაწილი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>

<sup>99</sup> CRC, ზოგადი კომენტარი No. 12 (2009): ბავშვის უფლება, იყოს მოსმენილი და გაგონილი, CRC/C/GC/12, 20 ივლისის 2009 (შემდგომში “CRC, ზოგადი კომენტარი No. 12”) <http://www.unhcr.org/refworld/docid/4ae562c52.html> (29.11.2020)

უკავშირდება”<sup>100</sup> „სწორედ ამიტომ სახელმწიფოები ვალდებულნი არიან მიიღონ ყველა ზომა „ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის” მე-12<sup>101</sup> მუხლით დაცული სიკეთის განხორციელების მიზნით. აქედან გამომდინარე ტერმინს „უზრუნველყოფენ” სახელმწიფოთათვის ე.წ. „მბოჭავი” ხასიათი გააჩნია, რაც თავის მხრივ, გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოებს არ გააჩნიათ მოქმედების თავისუფლება მაშინ, როდესაც საკითხი ბავშვთა უფლებების და მოცემულ შემთხვევაში, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებისა და მოსმენის უფლებას ეხება. სახელმწიფოს აკისრია მკაცრი ვალდებულება, გაატაროს ყველა ღონისძიება ბავშვთა ამ უფლების განხორციელების მიზნით. სახელმწიფომ, აუცილებლად უნდა შეაფასოს თითოეული ბავშვის უნარი თუ როგორ შეუძლია საკუთარი შეხედულების ჩამოყალიბა და არცერთ შემთხვევაში არ უნდა ივარაუდოს, რომ ბავშვს არ შეუძლია საკუთარი შეხედულების ჩამოყალიბება. სახელმწიფომ იმპერატიულად უნდა გაითავისოს ბავშვის ამ უნარის არსებობის ფაქტი ყველა შემთხვევაში და მან მხოლოდ იმაზე უნდა იზრუნოს, რომ ბავშვს მისცეს მისი გამოვლენის საშუალება - შეხედულების გამოხატვის უფლება. ამ შემთხვევაში ასაკობრივი შეზღუდვა არ უნდა არსებობდეს და თითოეულ ბავშვს მისი ასაკის მიუხედავად უნდა მიეცეს უფლება გამოთქვას თავისი მოსაზრება, მით უმეტეს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც უშუალოდ მის საუკეთესო ინტერესებს უკავშირდება.<sup>102</sup> მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ყურადღება გამახვილდეს ბავშვთა „თავისუფლებაზე”. ბავშვი არაა ვალდებული თავს მოეხვიოს სხვისი „შეხედულებები და გამოხატოს არა თავისი, არამედ სხვისი აზრი.

მე-12 მუხლის 2 პუნქტი<sup>103</sup> აკონკრეტებს, რომ მოსმენის შესაძლებლობა უზრუნველყოფილი უნდა იქნას განსაკუთრებით „ნებისმიერ სასამართლო და ადმინისტრაციული საქმის წარმოების პროცესში, რომელიც ბავშვს ეხება”. კომიტეტი ხაზს უსვავს, რომ ეს დებულება უკავშირდება ყველა შესაბამის სასამართლო საქმის

<sup>100</sup> X.v. Latvia ([GC], no. 27853/09, §§ 92-108, ECHR 2013)

<sup>101</sup> ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის,( მე-12 მუხლი).

<sup>102</sup> ბავშვის უფლებათ კოდექსი,( მუხლი მე-8).

<sup>103</sup> ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის,( მე-12 მუხლის მე-2 ქვეპუნქტი).

წარმოებას, რომელიც მოიცავს მშობლებისგან დაცილებას, მეურვეობას, მზრუნველობასა და შვილად აყვანას. მოსმენის უფლება ეხება როგორც საქმის წარმოებებს, რომელთა ინიციატორი ბავშვია, ასევე საჩივრებს ცუდ მოპყრობასთან დაკავშირებით და სკოლასთან მოწყვეტასთან დაკავშირებულ განცხადებებს, ასევე სხვათა მიერ ინიცირებულ საქმის წარმოებებს, რომლებიც შეეხება ბავშვს, როგორცაა მშობლებისგან დაცილება ან შვილად აყვანა.<sup>104</sup>

სახელმწიფოს მხრიდან ბავშვთა უფლებებისა და ინტერესების დარღვევასთან დაკავშირებით საუბარია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 02 თებერვლის გადაწყვეტილებაში ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ.<sup>105</sup> არასრულწლოვანი ბავშვების დეიდამ წარმოადგინა არსებული საჩივარი მათი სახელით. ის აქტიურად მონაწილეობდა ბიჭების აღზრდაში, დეიდამ სარჩლით მიმართა სასამართლოს რათ მოეპოვებინა მეურვეობა, დის გარდაცვალების შემდგომ. მხარეთა შორის დავა მას შემდეგ დაიწყო, რაც ბავშვების მამამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა შვილების დაბრუნება, მოსარჩელის (მამის) მოთხოვნა დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება შეცვალა მამის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. ბავშვები საცხოვრებლად უნდა დარჩენილიყვნენ დედის ოჯახში.

უზენაესი სასამართლოს გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ამავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს განჩინებით უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ დაუშვებლობის გამო,

---

<sup>104</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1204-ე მუხლი ადგენს: მშობლებს უფლება აქვთ მოითხოვონ არასრულწლოვანი შვილის დაბრუნება იმ პირისაგან, რომელიც მას თავისთან ამყოფებს კანონიერი საფუძვლის გარეშე;

<sup>105</sup> ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადი №71776/12), სტრასბურგი, 2 თებერვალი, (2016 წელი), (§73, §84), ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3295053?publication=0> (21.10.2020)

განუხილველად დატოვა ბავშვების დეიდის საკასაციო საჩივარი. სწორედ ეროვნული სასამართლოების ეს გადაწყვეტილებები გახდა ნ.წ.-ის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის საკუთარი და საკუთარი დისშვილების სახელით მიმართვის საფუძველი. სასამართლომ ყურადღება გამახვილა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე-1199 და 1204-ე მუხლებზე. საბოლოოდ, დაადგინა ბავშვის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევის ფაქტი „ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის“ მე-8 მუხლი.<sup>106</sup> სასამართლომ განმარტა, რომ მიმდინარე საქმეში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროცედურები არ იყო შესაბამისობაში კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებთან და ის უგულებელყოფდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. გამოსაკვლევია ორი ძირითადი ასპექტი - იყვნენ თუ არა ბიჭები სათანადოდ ჩართულები საქმის წარმოებაში და იყო თუ არა ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ნაკარნახევი მათი საუკეთესო ინტერესებით.<sup>107</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხსენებული გადაწყვეტილებით, გააკრიტიკა საქართველოს მთავრობის პოზიცია და მიუთითა საქართველოში არსებულ ბავშვთა უფლებების დაცვის რეალიზაციის მიზნით არსებულ საკანონმდებლო ხარვეზებზე და არ გაიზიარა საქართველოს მთავრობის არგუმენტი, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ გულისხმობს სამართალწარმოებაში ბავშვის პირადად ჩართვის აუცილებლობას. ბავშვის საუკეთესო ინტერესები, რომლებიც ბავშვთან კონსულტაციის გზით განისაზღვრება, არ წარმოადგენს იმ ერთადერთ ფაქტორს, რომელიც თავიანთ ქმედებებში უნდა გაითვალისწინონ დაწესებულებებმა, ორგანოებმა და ადმინისტრაციამ. თუმცა, ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია, ისევე

---

<sup>106</sup> კონვენციის მე-8 მუხლი ადგენს: 1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ პატივი სცენ ბავშვის უფლებას შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალურობა, მათ შორის მოქალაქეობა, სახელი და ოჯახური ურთიერთობა, როგორც გათვალისწინებულია კანონით, ამასთან არ დაუშვან კანონსაწინააღმდეგო ჩარევა; 2. თუ ბავშვი უკანონოდ კარგავს თავისი ინდივიდუალობის ნაწილს ან ყველა ელემენტს, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მას საჭირო დახმარებით და დაცვით მისი ინდივიდუალობის რაც შეიძლება სწრაფად აღდგენისათვის;

<sup>107</sup> ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადი №71776/12), სტრასბურგი, 2 თებერვალი, (2016 წელი), (§73, §84), ხელმისაწვდომია

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3295053?publication=0> (29.11.2020)

როგორც ბავშვის შეხედულებები.<sup>108</sup> ცხადია, საქართველოს კანონმდებლობა არასრულწლოვანთა „ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციისა“ და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი კანონმდებლობის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანასა და სრულყოფას საჭიროებს მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თანდათან სახელმწიფო დგამს ქმედით ნაბიჯებს არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად.(მაგ. ცვლილება შევიდა ბავშვის უფლებათა კოდექსში).<sup>109</sup>

### **3.3. ბავშვის მოსმენა და მისი მოსაზრებების გათვალისწინება სამოქალაქო სამართალწარმოების დროს**

კოდექსი არასრულწლოვანის ინტერესთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტაში მისი ჩართულობის ორ სახეს იცნობს:

1. როდესაც არასრულწლოვანის აზრი საკითხის გადასაჭრელად გადაწყვეტი მნიშვნელობისაა: ამ დროს კანონმდებელი იყენებს ცნებას „ბავშვის თანხმობა“ და სასამართლოს ავალდებულებს, საკითხი გადაწყვიტოს ბავშვის ნების შესაბამისად არასრულწლოვანის გვარის შეცვლისას (1196.2 მუხლი),<sup>110</sup> არასრულწლოვანის შვილად აყვანის დადგენის (1255.1),<sup>111</sup>

2. როდესაც ბავშვის მოსაზრება გასათვალისწინებელია, მაგრამ სავალდებულო ხასიათიარა აქვს. კანონმდებელი იყენებს ცნებას „ბავშვის სურვილის გათვალისწინება“ და ადგენს მას და მშობლის უფლებაჩამორთმეული პირისათვის მშობლის უფლების აღდგენის საკითხის გადაწყვეტისას (1209.3 მუხლი).<sup>112</sup> სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს არასრულწლოვანის აზრის მოსმენის უფლებას მის ინტერესებთან უშუალოდ კავშირში არსებული ისეთი საკითხების

<sup>108</sup> ბავშვის უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი, „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მუხლი 12-ის შესაბამის ნაწილებში, გამოაქვეყნა (CRC/C/GC/12), 20 ივლისი, (2009 წელი).

<sup>109</sup> [https://www.transparency.ge/sites/default/files/bavshvis\\_uplebata\\_kodeksi.pdf?fbclid=IwAR3ICu-fMNVDvTx4gzN5HQDy3Vb6dhYr1fDDrcUJWggyQ\\_ILJhKsdhrW1c](https://www.transparency.ge/sites/default/files/bavshvis_uplebata_kodeksi.pdf?fbclid=IwAR3ICu-fMNVDvTx4gzN5HQDy3Vb6dhYr1fDDrcUJWggyQ_ILJhKsdhrW1c) (24.10.2020)

<sup>110</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი- 1196-ის მე-2 ქვეპუნქტი.

<sup>111</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი-1255-ის პირველი ქვეპუნქტი.

<sup>112</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1209-ის მე-3 ქვეპუნქტი.



სასამართლოს მიერ განხილვისას, როგორცაა: არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა მშობელთა შეუთანხმებლობისას (1201-ე მუხლი),<sup>113</sup> არასრულწლოვანთან იმ მშობლის ურთიერთობის წესის განსაზღვრა, რომელიც არ ცხოვრობს არასრულწლოვანთან (1198-ე, 1202-ე<sup>114</sup> მუხლი), არასრულწლოვანის მესამე პირებთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა (1203-ე მუხლი),<sup>115</sup> იგივე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მითითებული, არასრულწლოვანის მშობელთან დაბრუნების საკითხი (1204-ე მუხლი).<sup>116</sup> სსკ-ი ითვალისწინებს ბავშვის უფლებას იყოს მოსმენილი მშობლის უფლებაჩამორთმეული პირისათვის მშობლის უფლების აღდგენის დროს (1209.3 მუხლი), მაგრამ იგივე მშობლის უფლების ჩამორთმევის საკითხის განხილვის დროს კანონმდებელი არ ადგენს არასრულწლოვანის უფლებას იყოს მოსმენილი (1206-ე მუხლი).<sup>117</sup>

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები ან მზრუნველები. ამასთანავე, სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებში ჩააბას თვით არასრულწლოვნები.<sup>118</sup> მცირეწლოვნის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავს მისი კანონიერი წარმომადგენელი. სასამართლო უფლებამოსილია მცირეწლოვანიც ჩააბას პროცესში.<sup>119</sup> არამართლოზომიერად გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვის საქმეზე, სასამართლომ უნდა მოუსმინოს ბავშვს, თუ მისი ასაკი, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა ამის შესაძლებლობას იძლევა. ბავშვის მოსმენა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მას უნდა

<sup>113</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1201.

<sup>114</sup> ჭანტურია ლადო, ბესარიონ ზოიძე, თედო ნინიძე, რომან შენგელია, ჯონი ხეცურიანი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეხუთე. (თბილისი გამომცემლობა, „სამართალი“, 2000.) გვ. 177

<sup>115</sup> ჭანტურია ლადო, ბესარიონ ზოიძე, თედო ნინიძე, რომან შენგელია, ჯონი ხეცურიანი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეხუთე. (თბილისი, გამომცემლობა, „სამართალი“ 2000.) გვ. 179

<sup>116</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1204

<sup>117</sup> არასრულწლოვანთა უფლებების ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სრულყოფის პერსპექტივები, 1. „არასრულწლოვანთა უფლებების ევროპული სტანდარტის მთავარი სამართლებრივი წყარო“ - ეკა ზარნაძე

<sup>118</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 81, მე-3 ქვეპუნქტი.

<sup>119</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 81, მე-4 ქვეპუნქტი.



დაესწროს ექსპერტი ან/და სოციალური მუშაკი.<sup>120</sup> მიუხედავად ბავშვის უფლებათა კოდექსში ბავშვის მოსმენის პრინციპის გათვალისწინებისა, სსსკ-ი არ შეიცავს შესაბამის პროცესუალურ გარანტიებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს ბავშვის პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფა და მისი მოსმენა. ამავე დროს, არცერთ მუხლში არაა განმარტებული, თუ რას გულისხმობს „საქმეში ჩაბმა“. შესაბამისად, საკითხის განმარტება და გადაწყვეტა პრაქტიკაში დამოკიდებულია მოსამართლეზე, რაც ვერ უზრუნველყოფს ბავშვის უშუალოდ მოსმენის და მისი მოსაზრებების სათანადოდ გათვალისწინებას. კონვენციით აღიარებული სამოქალაქო პროცესში ბავშვი შესაძლებელია მონაწილეობდეს როგორც მოსარჩელის სტატუსით, ისე მშობლების დავაში საჭირო იყოს მისი აზრის გათვალისწინება და მოწვეული იყოს მისი მოსაზრებების მოსასმენად, სწორედ ის გარემოება, რომ ზოგჯერ არასრულწლოვანს მოწმის ან მესამე პირის სტატუსით იწვევენ პროცესზე, ზოგჯერ კი დაინტერესებული პირის სახით ბუნდოვანს ხდის მის უფლებებს.

რეკომენდირებულია კოდექსმა ასახოს, რომ ყველა ბავშვს აქვს უფლება მოსმენასა და მონაწილეობაზე მისი ასაკისა და განვითარების შესაბამისად. ტერმინი „ასაკისა და განვითარების“ შესაბამისად უნდა იყოს განმარტებული -სახელმწიფოს ვალდებულება ნებისმიერ ბავშვს მოუსმინოს. ტერმინის განმარტება არასწორია იმ გაგებით, თითქოს პატარა ასაკის ბავშვის მოსმენა არაა სავალდებულო, რადგან მას ვერბალურად არ შეუძლია გამართულად გადმოსცეს თავისი მოსაზრება. სასამართლო ბავშვს მოუსმენს, „თუ მისი ასაკი, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა“ ეს ჩანაწერი ფაქტობრივად მოსმენის უფლებას უზღუდავს მცირეწლოვან და შშმ ბავშვებს, სხვა ბავშვებთან მიმართებაშიც არ ქმნის მათი მოსმენის გარანტიას. „სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თუნდაც

---

<sup>120</sup> ბავშვზე მორგებულ ი მართლმსაჯულება .გაეროს ბავშვთა ფონდი2017  
[https://www.unicef.org/georgia/media/1481/file/Legislative%20Analysis%20GEO.pdf?fbclid=IwAR1LofdZT9VmbOVF--dCQsTAqmktEZm0w2nc8FOJ9lq47IxHRoLuMd\\_ZiKg](https://www.unicef.org/georgia/media/1481/file/Legislative%20Analysis%20GEO.pdf?fbclid=IwAR1LofdZT9VmbOVF--dCQsTAqmktEZm0w2nc8FOJ9lq47IxHRoLuMd_ZiKg) (27.11.2020)

მცირე ასაკის ბავშვთა დამოუკიდებელი წარმომადგენლობა ყველა სამართლებრივ პროცესში და მათი მოსმენა ნებისმიერ საკითხზე, რომელი მათ ეხებათ”.<sup>121</sup>

#### 4. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობის სავალდებულოობის პრინციპი საოჯახო საქმეებში

„მეურვეობისა და მზრუნველობის“ ინსტიტუტი ერთ-ერთი უძველესია სამართლის ისტორიაში, რომელსაც კარგად იცნობს ძველი აღმოსავლეთისა და რომის სამართალი.<sup>122</sup> დავით ბატონიშვილის სამართალი იცნობს მეურვეობის ინსტიტუტს, რომელიც ეხება მეურვეობის განხორციელებას სხვადასხვა სფეროში. „ვექილი“ აქ მეურვეს ნიშნავს, რომელიც ენიშნებოდა მხოლოდ ობოლ ბავშვებს.<sup>123</sup>

მეურვეობისა და მზრუნველობის ძირითადი დანიშნულება არის იმ მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვა, რომლებიც ობიექტურ გარემოებათა საფუძველზე, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას დამოუკიდებლად დაიცვან თავიანთი უფლებები და შეასრულონ სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულებები.<sup>124</sup>

მეურვეობის და მზრუნველობის ორგანო არის - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტო.<sup>125</sup> მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას და უფლებას მოსილებას წარმოადგენს მეურვეობის, მზრუნველობის, მხარდაჭერის, შვილად აყვანისა და მინდომით აღზრდის პროცესის წარმართვა და კორდინაცია, გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა ერთიანი რეესტრის და მინდობით აღსაზრდელთა და მინდობით აღმზრდელთა მონაცემთა ბაზის წარმოება, საქართველოს ტერიტორიაზე კანონმდებლობით გათვლისწინებული ცენტრალური

<sup>121</sup> ბავშვის უფლებათ კომიტეტის ზოგადი კომენტარი # 12(2009), „ბავშვის უფლება მისი მოსაზრების მოსმენაზე“, პარა. 132-134, გვ. 29

<sup>122</sup> მეტრეველი, ვ. " რომის სამართალი " ( საფუძვლები ). (თბილისი "მერიდიანი".2009) გვ. 105

<sup>123</sup> ჯავახიშვილი, ი. " ქართული სამართლის ისტორია ", წიგნი I. (ტფილისი, "ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა"1928) გვ. 92

<sup>124</sup> ჭანტურია, ლ.; ზოიძე, ბ.; ნინიძე, თ.; შენგელია, რ.; ხეცურიანი, ჯ. " საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი " , წიგნი V . თბილისი: "სამართალი"(2000)..

<sup>125</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-14/ნ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ

და ადგილობრივი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციების უზრუნველყოფა, აგრეთვე, სხვა სახელმწიფოში გაშვილების მიზნებისათვის, ცენტრალური მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციის უზრუნველყოფა.<sup>126</sup> საოჯახო სამართლებრივი დავების განხილვისას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობის სავალდებულოობის შემთხვევები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით. კოდექსით რეგულირებული ასეთი შემთხვევაა, მაგალითად, გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1200-ე მუხლით.<sup>127</sup> იდეალურ შემთხვევაში, შვილების აღზრდასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს მშობლები წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმებლობისას საკითხი სასამართლოს მონაწილეობით უნდა გადაწყდეს.<sup>128</sup> რა დროსაც მშობლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეჩერდება და სასამართლოს განჩინების შესაბამისად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო დანიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს წარმოადგენს ბავშვის ინტერესებს. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საქმეში ჩაბმა, თავის მხრივ, გარკვეულ პროცედურებთანაა დაკავშირებული. სასამართლო გამოიტანს განჩინებას საქმეში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩაბმის თაობაზე და დაავალებს მას დანიშნოს არასრულწლოვანის წარმომადგენელი და სასამართლოს წარმოუდგინოს საკუთარი პოზიცია კონკრეტულ დავასთან მიმართებით. ყოველი სასამართლო სხდომა მიმდინარეობს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დანიშნული არასრულწლოვანის წარმომადგენლის მონაწილეობითა და დაკვირვებით.

განსაკუთრებით საინტერესოა მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოების სტატუსი პროცესში ჩართვის შემთხვევაში. პროცესი არ იცნობს ასეთი სტატუსის

---

<sup>126</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-14/ნ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 2, პუნქტი 1(ზ)

<sup>127</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1200

<sup>128</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1200-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტი

მქონე პირს და ამიტომ სასამართლოებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები რომ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების სახით ჩაერთონ პროცესში.სამოქალაქო კოდექსის 1274-ე მუხლის თანახმად, სასამართლოში შვილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობის საქმის განხილვისას ყველა შემთხვევაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ. ანუ სასამართლოში ეს ორგანო რაიმე სახის სუბიექტად უნდა გამოვიდეს.<sup>129</sup>

მატერიალური სამართალით დადგინდა, რომ ყველა შემთხვევაში ამ ტიპის საქმეებში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა. მოსარჩელე თავად განსაზღვრავს, თუ ვინ ჩააბას პროცესში მხარედ ასევე მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე<sup>130</sup> სწორედ მისი ინიციატივით იქნებიან საქმეში ჩართულნი. აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია , რომ – ამ შემთხვევაში მატერიალური ნორმა ამგვარ პროცესში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სავალდებულო მონაწილეობას განსაზღვრავს. მაგრამ , თუ რომელ სუბიექტად უნდა იქნეს იგი ჩაბმული ამ საქმეში, არსადაა განსაზღვრული. ამას არც საპროცესო კოდექსი არეგულირებს.სასამართლომ მატერიალური სამართლიდან უნდა იხელმძღვანელოს და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო საქმეში ჩააბას მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. მაგალითად , როცა არსებობს სსსკ-ის 89-ე <sup>131</sup> მუხლის საფუძველზე მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით (რასაც ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა), მაგრამ არ არსებობს ინიციატივა მხარისა ამ პირის სასამართლოში მოწვევის თაობაზე, მაშინ ასეთი ინიციატივის განხორციელების უფლებამოსილება მატერიალური სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე

---

<sup>129</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,( მუხლი 1274.)

<sup>130</sup>ხარიტონაშვილი ნ. მესამე პირების ჩართვის მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში.2016წელი,თბილისი. გამომცემლობა „სამართალი და მსოფლიო“ გვ 142 ლმისაწვდომია <http://lawandworld.ge/wp-content/uploads/2020/03/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf> (15.12.2020)

<sup>131</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, (მუხლი 89).

სასამართლომ უნდა იტვირთოს.<sup>132</sup> იმ შემთხვევაში თუ სამოქალაქო საპროცესო სამართალში იარსებებდა „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტი შესაძლო გახდებოდა პროცესში მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სასამართლოს მეგობრის სტატუსით ჩრთვაზე ფიქრიც.<sup>133</sup> საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო პრინციპების მე-13 წესში საუბარია პროცესის ისეთ ინსტიტუტზე, როგორცაა **amicus curiae brief**, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს.<sup>134</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო რომელსაც დაემატა 16 პრიმა მუხლი – სასამართლოს მეგობარი (**ami- cus curiae**).<sup>135</sup> სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში აღნიშნული მექანიზმის (**amicus curiae**) დანერგვით უფრო დაზუსტებული იქნებოდა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს პროცესში მონაწილეობის სამართლებრივი საფუძველი და სტატუსი.

საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სამოქალაქო საქმეთა განხილვაში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირებად აბავმენ ისეთ პირებს როგორცაა, ქალაქის მერია, გამგეობა, ნოტარიუსები, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები და ა.შ. მაგრამ ხშირად გაუგებარია თუ რომელი მხარის დასახმარებლად მოხდა მათი პროცესში ჩბმა, რა მოსაზრება უდევს საფუძვლად მათ პროცესში მონაწილეობას, და თუ რომელი კანონით იხელმძღვანელა სასამართლომ, როცა გამოიტანა განჩინება მათი საქმეში ჩბმის შესახებ.<sup>136</sup>

---

<sup>132</sup> საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, (თბილისი 2011).

<sup>133</sup> ხარიტონაშვილი ნ. მესამე პირების ჩართვის მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში. (თბილისი. გამომცემლობა „სამართალი და მსოფლიო“ 2016.) გვ 183. ხელმისაწვდომია <http://lawandworld.ge/wp-content/uploads/2020/03/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf> (06.12.2020)

<sup>134</sup> Joint ALI/UNIDROIT Working Group on principles and rules of transnational civil procedure ALI/UNIDROIT principles of transnational civil procedure Appendix: Rules of transnational civil procedure (A Reporters' Study), <http://www.unidroit.org/>, Rome, (January, 2005).

<sup>135</sup> საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-16 პრიმა მუხლი.

<sup>136</sup> ლილუაშვილი თ. სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, მეორე გამოცემა. (თბილისი, 2005). გვ 93.

პრაქტიკა დასაშვებად თვლის მესამე პირად იმ ბავშვის მშობლის საქმეში ჩაბმას, რომელიც ადრე გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე იღებს ალიმენტს. თუ ალიმენტის გადამხდელი პირის მიმართ იქნება სარჩელი აღძრული სხვა ქორწინებაში დაბადებული ბავშვისთვის ალიმენტის გადახდევინების შესახებ, მაშინ ამ სარჩელის განხილვაში მესამე პირად შეიძლება ჩაება იმ ბავშვის მშობელი, რომელიც უკვე იღებს ალიმენტს, ვინაიდან სხვა ქორწინებაში დაბადებული ბავშვისთვის ალიმენტის გადახდევინების დაკისრებამ შეიძლება გამოიწვიოს პირველი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ალიმენტის ოდენობის შემცირება.<sup>137</sup>

არსებობს შემთხვევები, როდესაც იკვეთება არასრულწლოვნებისათვის არაჯანსაღი გარემოს შექმნის ეჭვი. ასეთ დროს, სასამართლო უფლებამოსილია არასრულწლოვანის აღზრდის გასაკონტროლებლად საქმეში ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.<sup>138</sup> საკასაციო სასამართლო ხაზგასმით უთითებს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს ეჭვი, რომ ხდება მშობლის უფლების არასწორად განხორციელება ან ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული საკითხების არასწორად გადაწყვეტა, ყველა ორგანო, უპირველესად კი სასამართლო ვალდებულია, მიიღოს ზომები ბავშვების უფლებების დასაცავად და აქტიურად ჩართოს კომპეტენტური ორგანოები ამ მდგომარეობის მოსაწესრიგებლად (ინკვიზიციური პრინციპიდან გამომდინარე). დავა, რომლის განხილვისას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩართულობა სავალდებულოა, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1200-ემუხლით<sup>139</sup> გათვალისწინებული შემთხვევისა, აგრეთვე წარმოადგენს 1201-ემუხლით გათვალისწინებული შემთხვევაც, როდესაც არასრულწლოვანის მშობლები განქორწინებულნი არიან და ერთ-ერთი მშობლის სასარჩელო მოთხოვნას არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა წარმოადგენს.<sup>140</sup> დავის განხილვისას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობა არ უნდა ატარებდეს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს. ის აუცილებლად მიმართული

<sup>137</sup> იქვე, გვ. 94

<sup>138</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, (მუხლი 1275)

<sup>139</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, (მუხლი 1200).

<sup>140</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, (1201-ე მუხლი).

უნდა იყოს საქმის ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევისაკენ, არასრულწლოვანთა ინტერესის დადგენისა და ისეთი გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობისაკენ, რომელიც სწორედ რომ არასრულწლოვანის უფლებათა დაცვას ემსახურება.<sup>141</sup>

## 5. არასრულწლოვანის უფლება - დამოუკიდებლად აღძრას სარჩელი

თუ პირს მიაჩნია, რომ მისი უფლება დაირღვა ან სადავოდაა ქცეული, უფლებამოსილია მოითხოვოს აღნიშნული უფლების დაცვა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. სარჩელი სამოქალაქო პროცესში განიმარტება როგორც დარღვეული თუ სადავო უფლების ან სხვა კანონიერი ინტერესის სასამართლო წესის დაცვის შესახებ მოთხოვნა, რომელიც წარმოადგენს საქმის აღძვრის საფუძველს პირველი ინსტანციის სასამართლოში.<sup>142</sup> სასამართლო თავისი ინიციატივით ვერ დაიწყებს საქმის წამოებას და ამა თუ იმ პირის თუ ორგანიზაციის უფლების დაცვას. სასამართლოში საქმის წარმოებას სწორედ დაინტერესებული პირები იწყებენ სარჩელისა თუ განცხადების შეტანის გზით.<sup>143</sup>

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით არასრულწლოვანს უფლება აქვს, თავისი უფლებების და კანონიერი ინტერესების დასაცავად მიმართოს სასამართლოს.<sup>144</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **1198 (პრიმა)** მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არასრულწლოვანს აქვს მშობელთა/სხვა კანონიერ წარმომადგენელთა მიერ უფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის უფლება. არასრულწლოვანის

<sup>141</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, (მუხლი 1198).

<sup>142</sup> სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=23690> (29.11.2020)

<sup>143</sup> თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, მეორე გამოცემა, (თბილისი 2005), გვ.196.

<sup>144</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (მუხლი 81 პირველი პრიმა), „არასრულწლოვანის უფლება დაცვაზე“.



უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევისას, მათ შორის, ორივე ან ერთ-ერთი მშობლის მიერ ბავშვის აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობისას ან არასათანადოდ შესრულებისას, ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენებისას, არასრულწლოვანს უფლება აქვს, დამოუკიდებლად მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, ხოლო „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“ ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენციით გათვალისწინებულ შემთხვევებში – ცენტრალურ ორგანოს, 14 წლის ასაკიდან კი – სასამართლოს.<sup>145</sup> ამავე კოდექსის 1298-ე მუხლით გათვალისწინებულია გასაჩივრების მექანიზმიც, კერძოდ, მეურვისა და მზრუნველის მოქმედება შეიძლება გასაჩივროს დაინტერესებულმა პირმა, მათ შორის სამეურვეო (სამზრუნველო) პირმაც, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში სამეურვეო (სამზრუნველო) პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.<sup>146</sup> ვიდრე სასამართლო არასრულწლოვანთან დაკავშირებულ საქმეზე გადაწყვეტილებას მიიღებდეს, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც თავად არასრულწლოვანი მიმართავს სასამართლო ხელისუფლებას საკუთარი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს აქვს თუ არა არასრულწლოვანს მისივე საუკეთესო ინტერესებიდან მომდინარე გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი, საკმარისი ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში, სასამართლომ უნდა მოიძიოს საქმის გადაწყვეტისათვის ყველა საჭირო მასალა. გარდა ამისა, სასამართლო ვალდებულია იკვლიოს, აქვს თუ არა ბავშვს მისი ქმედების შემეცნების უნარ-ჩვევა და აღნიშნულის შესაბამისად, მიაწოდოს ინფორმაცია, გაუწიოს კონსულტაცია. უმჯობესია, კონსულტაცია უშუალოდ ბავშვთან, სხვა პირების დასწრების გარეშე განხორციელდეს სასამართლოს მიერ და ყველა მიზეზ გარეშე, არასრულწლოვანს უნდა მიეცეს შესაძლებლობა გამოხატოს თავისი შეხედულებები.

<sup>145</sup><http://ombudsman.ge/res/docs/2019040914333582577.pdf?fbclid=IwAR3IXkeSaaMSh17IKfDf02ls5eBKhl11oFY9s4JXC3ibWPO1-C2gM7TMeoI> (27.10.2020)

<sup>146</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, (მუხლი 1298).



## 5.1. ინტერესთა კონფლიქტი არასრულწლოვანსა და მის კანონიერ წარმომადგენელს შორის

მსოფლიო აღიარებს ბავშვთა საუკეთესო ინტერესების უპირატესობას<sup>147</sup> დადგენილია, რომ ბავშვთა უფლებები უმაღლეს დონეზე უნდა იქნას დაცული. აღზრდის პროცესში, დაუშვებელია ისეთი მეთოდების გამოყენება, რომელიც არასრულწლოვანის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტანჯვას გამოიწვევს.<sup>148</sup> მშობლების ვალდებულებაა არჩინონ თავიანთი შვილები. თუ საკითხი ეხება არასრულწლოვანის ქონების მართვასა და გამოყენებას, ასეთ შემთხვევაშიც, მშობლებს თავიანთი შვილების უფლებებისა და ინტერესების დაცვა ევალებათ. ისინი შვილების კანონიერ წარმომადგენლობას ახორციელებენ განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე. ხშირია, მშობელთა მიერ შვილების უფლებებისა და ინტერესების დაცვის განხორციელება სასამართლოში.<sup>149</sup> პრაქტიკაში ვლინდება შემთხვევები, როდესაც მშობელსა და შვილებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი, მაგალითად როდესაც ოჯახში შექმნილია არასრულწლოვანის ნორმალური აღზრდისა და ჩამოყალიბებისათვის არაჯანსაღი გარემო ამ დროს, ცხადია, ირღვევა არასრულწლოვანის ინტერესი იცხოვროს და განვითარდეს მშვიდ, სტაბილურ, სრულფასოვან გარემოცვაში. დავათა განხილვის სასამართლომ უნდა მოისმინოს არასრულწლოვანის აზრი, რათა გამოარკვიოს ბავშვის სუბიექტური ნება და გადაწყვეტილება მიიღოს მისი უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით.<sup>150</sup> მრავალ საქმეში (სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული) არსებობს ბავშვსა და მის წარმომადგენელს (მშობელთა) შორის ინტერესთა კონფლიქტის რისკი. თუ ბავშვის მოსმენა ხორციელდება წარმომადგენლის მეშვეობით, ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ წარმომადგენელმა ბავშვის შეხედულებები სწორად გადასცეს გადაწყვეტილების მიმღებს. შერჩეული მეთოდი უნდა განისაზღვროს ბავშვის (ან,

<sup>147</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში დაკარგული კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში“, (2008), გვ. 40

<sup>148</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, (1198-ე მუხლის პირველი პრიმა მუხლი).

<sup>149</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, (1198-ე მუხლის მე-6 ქვეპუნქტი).

<sup>150</sup> Mühlfeld, S. 2002 გვ.44 (Mühlfeld, S., Mediation im Strafrecht - Unter besonderer Berücksichtigung von Gewalt in Schule und Strafvollzug, 2002)

აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისი ორგანოს) მიერ მისი კონკრეტული მდგომარეობის შესაბამისად. წარმომადგენლებს უნდა გააჩნდეთ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე საკმარისი ცოდნა და ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება. ასევე უნდა ესმოდეს, რომ იგი წარმოადგენს ექსკლუზიურად ბავშვის ინტერესებს და არა სხვა პირების (მშობლები), დაწესებულებები თუ ორგანოების (მაგ. ბავშვთა სახლი, ადმინისტრაცია ან საზოგადოება) ინტერესებს. განჩინებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბავშვებზე, სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული და განმარტებული მათთვის გასაგებ ენაზე. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც არ შეესაბამება ბავშვის მოსაზრებებს და შეხედულებებს.<sup>151</sup>

ერთ-ერთ საქმეზე<sup>152</sup> „არასრულწლოვნის მშობლებმა (კანონიერმა წარმომადგენლებმა) დაარღვიეს შვილის ქონებრივი უფლებები, იპოთეკით დატვირთეს მისი ქონება, მოხდა ქონების რეალიზაცია და მოსარჩელემ საკუთრების უფლება დაკარგა. შესაბამისად გვაქვს ინტერესთა კონფლიქტი ბავშვსა და მშობლებს შორის.“<sup>153</sup> სასამართლომ მოსარჩელეს უნდა დაუნიშნოს სპეციალური წარმომადგენელი ამ საქმის წარმოების მიზნებისათვის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სახით.

არასრულწლოვანთა და მათ კანონიერ წარმომადგენელთა შორის კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფოს როლი უმთავრესია. სასამართლო საქმის წარმოების მიზნებისათვის, უნდა დანიშნოს არასრულწლოვანის სპეციალური წარმომადგენელი. სკ-ს 1198-ე<sup>154</sup> მუხლის დანაწესი, ავალდებულებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს აქტიურად ჩაერთონ არასრულწლოვანთა უფლებების დასაცავად და არა ზოგადი დაკვირვებებითა და მხოლოდ საცხოვრებელი პირობების შესწავლით შემოიფარგლოს.

---

<sup>151</sup> ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადი №71776/12), სტრასბურგი, 2 თებერვალი, (2016 წელი), (§35, §36, §37, §49), ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3295053?publication=0> (30.11.2020)

<sup>152</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს (2016 წლის 13 ივლისის) განჩინება, საქმე N28/3459-16, 15

<sup>153</sup> Parkinson P., Family Law and the Indissolubility of Parenthood, Published by Cambridge University Press, 2011 y. 164.

<sup>154</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, (მუხლი 1198 ).

## 6. დროებითი განკარგულების ინსტიტუტი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განმტკიცებულია დროებითი განკარგულების ინსტიტუტის ცნება, რომელიც საოჯახო დავის განხილვის საპროცესო თავისებურებას წარმოადგენს.<sup>155</sup> სასამართლოს შეუძლია მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე მიიღოს დროებითი განკარგულება, რათა მოაწესრიგოს : ა) შვილის მიმართ მშობელთა ზრუნვის საკითხები; ბ) ერთ-ერთი მშობლის ურთიერთობა ბავშვთან; გ) ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა ერთ-ერთი მშობლისთვის; დ) მცირეწლოვანი ბავშვის შენახვის ვალდებულება; ე) საკითხი ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლისათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ; ვ) საოჯახო მეურნეობისა და ბინით სარგებლობის საკითხი; ზ) საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვასთან დაკავშირებით ხარჯების ავანსის სახით გადახდევინების საკითხი.<sup>156</sup>

დროებითი განკარგულების მოთხოვნის უფლება, ორ ნაწილად უნდა გავყოთ, ერთი, ეს არის ბავშვთან დაკავშირებით(ე,ვ,ზ ქვეპუნქტები),ხოლო მეორე მატერიალური სახის(შემდეგი სამი), რომელიც აგრეთვე შეიძლება შეეხებოდეს ბავშვს და შესაბამისად, აუცილებელია, განვიხილოთ თითოეული მათგანი ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან მიმართებაში.პრაქტიკაში, ხშირია შემთხვევები, როდესაც დროებითი განკარგულებით, რეგულირდება რომელიმე მშობლის ბავშვთან ურთიერთობის საკითხები, თუმცა განკარგულება ვერ აღსრულდება, რადგანაც ბავშვებს არ სურთ, ან მეტი დროის გატარება სურთ რომელიმე მშობელთან. იმის გამო, რომ მოსამართლეს არ მოუსმენია ბავშვის სურვილი,უშუალოდ დროებითი

<sup>155</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი,(მუხლი 355).

<sup>156</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (355-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

განკარგულების ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას, ან განიხილა ზეპირი მოსმენით, თუმცა არ ჰკითხა აზრი ბავშვს, აღსრულება შეუძლებელია. სასამართლოსთვის უცნობია, რა სურს ბავშვს, მაგრამ ის იღებს დროებით განკარგულებას. მშობელი, რომელთანაც ბავშვი დიდ დროს ატარებს, მუდმივად ინარჩუნებს საშუალებას, მოახდინოს ბავშვით მანიპულირება და მხარეს/სასამართლოს დააჯეროს, რომ მეორე მშობელთან ურთიერთობა ბავშვს უბრალოდ არ სურს.

ვფიქრობ, სოციალურ მუშაკებს, სასამართლოს, სხვა პირებს, უნდა გააჩნდეთ უშუალო ვალდებულება, მოუსმინონ ბავშვს ყოველთვის, როცა მას აზრის გამოხატვა სურს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს ნებისმიერი მუდმივი თუ დროებითი გადაწყვეტილება.

სასამართლოს შეუძლია მიიღოს დროებითი განკარგულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება ამის შესახებ მხარის შუამდგომლობა (განცხადება) სასამართლოს მიმართ. დროებითი ამ განკარგულებებს (რომლებიც განჩინების ფორმით მიიღება) იმიტომ ეწოდება, რომ საბოლოოდ ეს საკითხები მოწესრიგდება სასამართლოს მიერ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში. ჩამოთვლილ საკითხებზე დროებითი განკარგულებები, გამოტანილი განჩინების ფორმით, შეიძლება მიღებულ იქნეს მხარეთა შეუტყობინებლად, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. მაგრამ, თუ სასამართლო ამას საჭიროდ ჩათვლის, შეუძლია ეს საკითხები მხარეთა შეტყობინებითა და მათი მონაწილეობით განიხილოს. ცხადია, რომ მათი გამოუცხადებლობა საკითხის გადაწყვეტას და დროებითი განკარგულების მიღებას ვერ დააბრკოლებს.<sup>157</sup> განჩინების გამომტან სასამართლოს შეუძლია მხარეთა განცხადების საფუძველზე შეცვალოს ან მთლიანად გააუქმოს თავისი განჩინება.<sup>158</sup> დროებითი განკარგულების შესახებ განჩინება არ საჩივრდება, ვინაიდან იგი დროებითია, საბოლოოდ გადაწყვეტილებაში აისახება, რომელზეც შეიტანება

---

<sup>157</sup> თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა. (თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2007).

<sup>158</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (355-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

სააპელაციო (საკასაციო) საჩივარი. ამასთან, მხარეს შეუძლია განცხადებით და არა საჩივრით მიმართოს სასამართლოს დროებითი განკარგულების შესახებ განჩინების შეცვლის თაობაზე. შესაბამისად, სასამართლო გამოიტანს განჩინებას შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ ან უარს ეტყვის განცხადების წარმდგენ პირს აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ეს განჩინება არ გასაჩივრდება კერძო საჩივრით და განცხადება არ გადაიგზავნება ზემდგომ სასამართლოში იმ შემთხვევაშიც, როცა სასამართლო უარს ეუბნება მხარეს განჩინების (დროებითი განკარგულების) შეცვლაზე ან მთლიანად გაუქმებაზე.<sup>159</sup>

მნიშვნელოვანია იმის გაგება თუ რამდენად შეესაბამება სსსკ-ის 355-ე მუხლით განსაზღვრული დროებითი განკარგულების მიღების შესაძლებლობა კანონის განსაზღვრულობისა და სამართლებრივი უსაფრთოების პრინციპებით დადგენილ მოთხოვნებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმე №2/10/1212 აღნიშნულია, რომ სსსკ-ის სადავოდ გამხდარი ნორმები ბუნდოვანია და ვერ აკმაყოფილებს კანონის განსაზღვრულობის და სამართლებრივი უსაფრთხოების კონსტიტუციურ პრინციპებს. კერძოდ, კოდექსი არ შეიცავს ტერმინების - „მშობელთა ზრუნვის“ და „მშობლის ურთიერთობა ბავშვთან“ - განმარტებებს, რაც, საბოლოო ჯამში, შესაძლებლობას, რომ სასამართლომ მშობელს, დროებითი განკარგულების საფუძველზე, აუკრძალოს შვილის საქართველოს საზღვრებს გარეთ გაყვანა, მიუხედავად იმისა, რომ სადავო ნორმები აღნიშნულს პირდაპირ, ექსპლიციტურად არ ითვალისწინებს. „მოსარჩელის მტკიცებით, სადავო რეგულირება კონსტიტუციის შესაბამისი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათში სახელდებით იქნებოდა მოცემული კონკრეტული მიზეზები, რაც შეიძლება გახდეს პირის საქართველოს ტერიტორიიდან გასვლის უფლების შეზღუდვის საფუძველი. ასევე, გათვალისწინებული იქნებოდა იმ გარემოებათა ჩამონათვალი, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც უნდა იქნეს გამოყენებული ამგვარი ზომა...“<sup>160</sup>

<sup>159</sup> თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა. (თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2007).

<sup>160</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (2018 წლის 07 დეკემბრის) გადაწყვეტილება

ნებისმიერი დროებითი რეგულაცია, ისევე, როგორც საბოლოო გადაწყვეტილება, ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე უნდა იყოს მორგებული, შესაბამისად, პროცესის მიმდინარეობის დროსვე, უნდა გაირკვეს, დროებითი განკარგულებით მოთხოვნილი შედეგი თუ გადაწყვეტილებაშიც აისახა, იქნება თუ არა ბავშვისთვის სასურველი და საუკეთესო პერსპექტივის მქონე . აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დროებითი განკარგულების შინაარსი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს. შესაბამისად, იგი დროებითი ღონისძიებაა და ემსახურება მხარეების, ისევე როგორც ბავშვის ინტერესთა ბალანსს. ბავშვის უპირატესი ინტერესის გათვალისწინების დროს აუცილებელია ვნახოთ ოქროს შუალედი ორ მნიშვნელოვან საკითხთან მიმართებით ,თუ სუბიექტურად რა სურს ბავშვს, და ობიექტურად რა არის მისთვის უკეთესი. აქ ბალანსის დაჭერაა ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი.

### **6.1.სოციალური მდგომარეობის გავლენა დროებითი განკარგულების შინაარსზე**

სასამართლო, ნებისმიერ შემთხვევაში, ისევე, როგორც შეგნებული მხარეები, პირველ რიგში, არა საკუთარ, არამედ ბავშვის ინტერესებს უნდა იცავდნენ.თუმცა, მშობლების დამაბული ურთიერთობების ფონზე, არის შემთხვევები, როცა მხარეებს საერთოდ არ ახსოვთ, რა არის ბავშვისთვის უკეთესი და ძირითადად, ეგოისტური მიზნები ამოძრავებს.შესაბამისად, სასამართლოს, სოციალური მომსახურების სააგენტოს უწევთ იფიქრონ, თუ რა იქნება ბავშვებისთვის უკეთესი და ამაში ეხმარება ის რომ აქვს უფლება, თავისი ინიციატივით გამოიკვლიონ მტკიცებულებები.საქმე N ას-89-89-2018,<sup>161</sup> სადაც მესამე პირად ჩართული იყო სსიპ სოციალური

---

საქმეზე №2/10/1212.ხელმისაწვდომია  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4390502?publication=0> (29.11.2020)

<sup>161</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (2018 წლის 07 დეკემბრის) გადაწყვეტილება საქმეზე №2/10/1212.ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4390502?publication=0> (29.11.2020)

მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილებები, როგორც არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენლები. კონკრეტული შემთხვევის განხილვა მნიშვნელოვანია, რამდენადაც მასში ჩანს ყველა იმ სამართლებრივ ნორმაზე მითითება/გამოყენება, რომელიც საოჯახო დავებს (რომლებშიც ჩართულნი არიან არასრულწლოვნები) განასხვავებს სხვა სახის დავებისაგან. დავის საგანს წარმოადგენდა არასრულწლოვანთა საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა. მოსარჩელე სარჩელს ამყარებდა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მხარეები იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. თანაცხოვრებისას შეეძინათ ორი შვილი. მეუღლეთა უთანხმოების გამო, მხარეები დაშორდნენ ერთმანეთს და ამჟამად, მოსარჩელე ცხოვრობს მშობლებთან, მეორე მშვილს არ აძლევს მამა. ბავშვები არიან მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში. მოპასუხემ არ სცნო თავდაპირველი სარჩელი.

საკითხი რთულდება, როდესაც მშობლები ცხოვრობს სხვა ტიპის დასახლებაში. ზემოგანხილულ საქმეში, მოსარჩელე ცხოვრობს სოფლად, ხოლო მოპასუხე-რაიონში. სოციალური ადაპტაცია არასრულწლოვნებს გავლილი აქვთ რაიონში. სასამართლო დადგა დილემის წინაშე, მიმდინარე ცხოვრება უნდა შეცვლილიყო თუ არა ბავშვებისთვის და უნდა შეეცვალათ თუ არა მათ სკოლა, სპორტული და სახელოვნებო წრეები, მაგრამ ფსიქოლოგისთვის არ დაუსვამს კითხვა, ბავშვებს ეს საკითხები ჰქონდათ თუ არა გააზრებული და რა სურდათ მათ. საბოლოოდ, სასამართლომ, სოციალური მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად, ადამიანური რესურსისა და მხარდამჭერთა წრის სიდიდის გამო, გადაწყვეტილება დედის სასარგებლოდ მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით და მატერიალური თუ სამომავლო-პერსპექტიული თვალსაზრისით, ეს გადაწყვეტილება კითხვის ნიშნებს შეიძლება ბადებდეს.

### **6.3. ფრანგული პრაქტიკის ანალიზი და ტენდენია საოჯახო დავებთან მიმართებით**

საფრანგეთის იუვენალური სისტემის ძირითადი მახასიათებლებია:

---

აღმზრდელობითი ღონისძიებების უპირატესობა, არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის პიროვნებისა და ფსიქოლოგიის ღრმა შესწავლა, იმ მოსამართლეთა სპეციალიზაცია, რომელიც იხილავს არასრულწლოვანთა საქმეებს. მნიშვნელოვანია სოციალური მოკვლევა,<sup>162</sup> რომელიც მოიცავს არასრულწლოვნის ოჯახური გარემოს, სოციალური თუ ეკონომიური მდგომარეობის შესწავლას, რათა მიეცეს რეკომენდაცია არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველ მოსამართლეს. იმისთვის რომ ვიმსჯელოთ თუ რა ხება საფრანგეთის კანონმდებლობაში საუკეთესო გზაა განვიხილოთ საფრანგეთის რესპუბლიკის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საოჯახო საქმეზე<sup>163</sup>. დედა ითხოვს მშობლის უფლებების ექსკლუზიურად მისთვის მინიჭებას, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას და მამისათვის ბავშვის მოვლის ხარჯებში წვლილის შეტანის დავალებულებას. მამა სასამართლო პროცესზე არ გამოცხადებულა და არც წარმომადგენელი აუყვანია. კანონმდებლობით (მუხლი 373) სასამართლოს შეუძლია მშობლის უფლებები მიანიჭოს ერთ-ერთ მშობელს, თუკი ეს ბავშვის ინტერესებშია.<sup>164</sup> სასამართლომ ჩათვალა, რომ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭირო იყო დედას მარტო ეკისრა მშობლის უფლებები. სასამართლომ ბავშვს მამის მხრიდან დახმარებაზე უარი უთხრა. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ვინაიდან არ არსებობდა მამის შემოსავალსა და ხარჯებზე ინფორმაცია და მისი ადგილსამყოფელი უცნობი იყო, ბავშვის მოვლის ხარჯებში წვლილის განსაზღვრა ვერ მოხერხდა და ეს ვალდებულება მხოლოდ დედას დაეკისრა. აქ უკვე დგას საკითხი, თუ რამდენად ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს მის მოვლაში მხოლოდ ერთი მშობლის მონაწილეობა. სასამართლოს ვალდებული იყო თავისი ინიციატივით დადგინა მამის ადგილსამყოფელი და დაეკისრა შვილის რჩენის მოვალეობა. საფრანგეთის კანონმდებლობით მკაცრად რეგლამენტირებულია წმინდა შეჯიბრებითი პროცესი, თუმცა საოჯახო სამართლებრივი დავების განხილვისას სასამართლო პროცესის

<sup>162</sup> ნოზაძე, ლ. იუვენალური იუსტიციის განვითარების ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტები, (თბილისი 2017), გვ.106

<sup>163</sup> Republique francaise, Cour D'appel de Colmar, Tribunal de grande instance de Colmar, Deuxieme Chambre Civile, Jugement du juge aux affaires familiales, (21 mars, 2016), N°RG: 15/02299 N°IIJ : 161771

<sup>164</sup> French Civil Code 373



მიმდინარეობაში ერევა იმ მასშტაბით, რაც აუცილებელი და სასარგებლოა ბავშვის<sup>165</sup>.  
7. ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილებები კანონმდებლობაში - არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული ქონების და მოძრავი ნივთების განკარგვის საკითხი.

ბავშვის უფლებათა კოდექსის სრულად ამოქმედება, 2020 წლის 1<sup>166</sup> სექტემბრიდან მოხდა, მისი მიზანი- არასრულწლოვანთა უფლებრივ მდგომარეობას კიდევ უფრო დაცულს და რეალიზებულს ხდის. სამოქალაქო კოდექსის 1294-ე მუხლის თანახმად,<sup>167</sup> მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობის გარეშე მეურვეს უფლება არა აქვს სამეურვეო პირის სახელით დადოს გარიგება, ხოლო მზრუნველს სამზრუნველო პირის სახელით დათანხმდეს გარიგების დადებაზე, რომელიც შეეხება ქონების გასხვისებას, დაგირავებას, ათწელზე მეტი ვადით გაქირავებას, თხოვებას ან სხვა სავალო ვალდებულებათა გაცემას, თამასუქის, სამეურვეო ან სამზრუნველო პირის კუთვნილ უფლებებზე უარის თქმას, სამეწარმეო საზოგადოებაში პარტნიორად შესვლას, სესხის აღებას, ქონების გაყოფას, ან რომლებსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ქონების შემცირება. დასახელებული კოდექსის 1296-ე<sup>168</sup> მუხლის მიხედვით კი, სამეურვეო (სამზრუნველო) პირის სახელით ჩუქების ხელშეკრულების დადება არ შეიძლება.<sup>169</sup> აღსანიშნავია, რომ კანონმდებელი 1294 მუხლით მხოლოდ მეურვეებისა და მზრუნველის უფლებათა შეზღუდვას ახდენდა, რაც ბოროტად იქნა გამოყენებული მშობლების მიერ. ერთი შეხედვით, კანონმდებლის ამგვარი მიდგომა განპირობებულია მშობელსა და შვილს შორის არსებული განსაკუთრებული ურთიერთობებით, რაც მშობლის ბუნებითი ფუნქციიდან გამომდინარეობს და

<sup>165</sup> CASE OF MANDET v. FRANCE, EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, Application no. 30955/12, (14 January, 2016) .

<sup>166</sup> (<https://imedinews.ge/ge/sazogadoeba/142227/bavshvta-uplebebis-kodeqsis-amoqmedeba-1el-seqtembramde-gadavadda> 27.10.2020.)

<sup>167</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, (მუხლი 1294).

<sup>168</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, (მუხლი 1296).

<sup>169</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საქმე No 28/3275-15, ხელმისაწვდომია <http://library.court.ge/judgements/78462015-12-04.pdf> გვ. 9

ნორმატიულად არის აღიარებული (სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის პირველი ნაწილი).<sup>170</sup> ამგვარი დამოკიდებულება ამკვიდრებს პრეზუმფციას, რომ მშობლები ყოველთვის მოქმედებენ მათი შვილების ინტერესების შესაბამისად, თუმცა სტატუსი - „მშობელი“ არ ქმნის გარანტიას, რომ გარიგების დადება ყოველთვის ბავშვის ინტერესის შესაბამისი იქნება. მიდგომა, რომ მშობელი ყოველთვის მოქმედებს ბავშვის ინტერესებში, საფრთხეს შეუქმნის არასრულწლოვანის უფლებების სრულყოფილ დაცვას. თუკი სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ სამართლებრივი ღონისძიებების გამოყენებ როგორცაა მშობლის უფლების ჩამორთმევა (1206-ე მუხლი);<sup>171</sup> მშობლის უფლების შეზღუდვა (1205-ე მუხლი),<sup>172</sup> რასაც საფუძვლად უდევს მშობლების მხრიდან მათი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება, ნათელია, რომ კანონმდებელი იმთავითვე დასაშვებად მიიჩნევს მშობლების მოქმედებას ბავშვის ინტერესების საზიანოდ. არასრულწლოვანის (მცირეწლოვანის) ინტერესის განსაზღვრის დროს მშობლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რიგ შემთხვევებში, ერთპიროვნულია და მის სუბიექტურ დამოკიდებულებას უკავშირდება. მაგ. სამოქალაქო კოდექსი პირდაპირი მნიშვნელობით არ ზღუდავს კანონიერ წარმომადგენელს, გააჩუქოს ან სხვაგვარად განკარგოს, არასრულწლოვანი პირის ქონება.<sup>173</sup> სასამართლო პრაქტიკით სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი დანაწესები განმარტებულია, რომ კოდექსი მშობლებს ბავშვების ქონებასთან მიმართებით შეზღუდულ უფლებას უწესებს და მხოლოდ აღნიშნული ქონების მართვისა და გამოყენების უფლებას ანიჭებს. მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად გამოდიან, ნიშნავს იმას, რომ მშობელი ბავშვის სახელით მხოლოდ და მხოლოდ ისეთ გარიგებებს დებს, რომლებიც ბავშვის ნებას შეესაბამება და ამასთან, აღნიშნული გარიგება ბავშვის ინტერესებშია. მოცემულ შემთხვევაში, ბავშვის

<sup>170</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, (1198 -ე მუხლის )პირველი ქვეპუნქტი.

<sup>171</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, (მუხლი 1206).

<sup>172</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, (მუხლი 1205)

<sup>173</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საქმე No28/3275-15, ხელმისაწვდომია

<http://library.court.ge/judgements/78462015-12-04.pdf>

კუთვნილი ქონების იპოთეკით დატვირთვა, მშობლების მიერ აღებული სესხის უზრუნველსაყოფად, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს 5 წლის ბავშვის ნების შესაბამისად. რაც შეეხება ბავშვის ინტერესს, საგულისხმოა, რომ მოცემულ შემთხვევაში, არც ბავშვის ნამდვილი ინტერესია სახეზე, რადგან ბიზნესის დასაწყებად სესხის აღება, თუნდაც, ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ბავშვის ნამდვილ ეკონომიკურ ინტერესს არ შეესატყვისება, ვინაიდან სესხად აღებული თანხებით ბიზნესის წარმოება, შესაბამისი ბიზნეს გეგმისა და დაუზღვეველი რისკის პირობებში, სერიოზული საფრთხის შემცველია. ბავშვის ქონების დაკარგვის საფრთხის არსებობა კი იმთავითვე ბავშვის ინტერესების საზიანოა. ამდენად, მშობლების მიერ აღებული სესხის უზრუნველსაყოფად მცირეწლოვანი ბავშვის ქონების იპოთეკით დატვირთვა ბავშვის ინტერესის საწინააღმდეგო გარიგებაა.<sup>174</sup> ვფიქრობ, თუ გვინდა თავიდან იქნას აცილებული ის საფრთხე, რასაც წარმომადგენლის პირადი ინტერესი ჰქვია უძრავი ქონების განკარგვის საკითხის დროს შეისლუდოს მშობლის უფლება და არასრულწლოვანი წარდგეს არა უბრალოდ რიგითი სპეციალიზირებული წარმომადგენლის, არამედ - მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ, რათა თავიდან იქნას აცილებული ის საფრთხე, რასაც წარმომადგენლის პირადი ინტერესი ჰქვია.

რაც შეეხება მოძრავი ნივთების განკარგვის საკითხს, ამ ნივთების ფარგლები კანონმებელმა დეტალურად, კონკრეტულად განსაზღვრა და დაადგინა, რომ 1000 ლარზე მეტი ღირებულების მოძრავი ნივთის მისი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე.<sup>175</sup> აღნიშნული ცვლილების მიზანი პირდაპირ მიემართება იმ ნეგატიურ ფაქტორებს, რომელიც არასრულწლოვანის შესაძლოა მიემართებოდეს გარშემომყოფებისგან, მათ შორის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისაგან და გამოვლენილდეს ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური, ოჯახური ან ძალადობის სხვა ნებისმიერი ფორმით.

<sup>174</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს (06.10.2015 წლის) №28/3275-15 განჩინება.

<sup>175</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (186 მუხლის 1-ლი მუხლის) პირველი ქვეპუნქტი.

„საკუთრების შექმნა მოძრავ ნივთზე„.

## 7.1. სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები

ბავშვთა უფლებების კოდექსმა განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომლებიც ამ დრომდე კანონმდებლობაში გათვალისწინებული არ ყოფილა, კერძოდ: ბავშვის აქვს უფლება სასამართლოს მიმართოს დამოუკიდებლად, ასაკობრივი ზღვრის გარეშე; ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღებამდე, 14 წლამდე ბავშვები, რომელთაც სასამართლოსთვის დამოუკიდებლად მიმართვის უფლება არ ჰქონდათ კანონით მინიჭებული, რჩებოდნენ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლების გარეშე. ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მშობელი თუ ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენელი გულგრილად ეკიდება ბავშვის ინტერესის დაცვას ან სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვის უფლებების დარღვევას ამ დროს ბავშვებს არ ჰქონდათ რაიმე ბერკეტი, თავიანთი უფლებების დასაცავად ებრძოლათ, სანამ ისინი 14 წლის ასაკს მიაღწევდნენ. მათი, როგორც ბავშვების უფლებები, ხშირად, არათუ დაუცველი რჩებოდა, არამედ მათი სავარაუდო დარღვევის შემოწმების შესაძლებლობაც არ არსებობდა.<sup>176</sup> ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღების შემდეგ ეს პრობლემა მოწესრიგდა და ბავშვს უფლება აქვს, საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს ან/და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს.<sup>177</sup> მნიშვნელოვანია აღინიშნოს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოების დროს ადვოკატთა სავალდებულო სპეციალიზაციას. კერძოდ: ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისად სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოების პროცესში ჩართული ყველა პირი უნდა იყოს სპეციალიზებული კანონით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად.

<sup>176</sup> [https://www.transparency.ge/sites/default/files/bavshvis\\_uplebata\\_kodeksi.pdf?fbclid=IwAR3UTXLKIdosSGKgap2EOhm3PamrqLzivCStFGsiPeUKj\\_C7uKr\\_gXOXFDI](https://www.transparency.ge/sites/default/files/bavshvis_uplebata_kodeksi.pdf?fbclid=IwAR3UTXLKIdosSGKgap2EOhm3PamrqLzivCStFGsiPeUKj_C7uKr_gXOXFDI) (27.10.2020)

<sup>177</sup> ბავშვის უფლებათა შესახებ კოდექსი, (მუხლი 75).

## 7.2. ხარვეზი კანონმდებლობაში

მიუხედავად ბავშვის უფლებათა კოდექსში ზემოაღნიშნული უმნიშვნელოვანესი პრინციპის გათვალისწინებისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ შეიცავს შესაბამის პროცესუალურ გარანტიებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს ბავშვის პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფა და მისი მოსმენა. სსსკ-ი არ გვაწვდის განმარტებას, ან რაიმე მითითებას იმის შესახებ, რომ უნდა მოვისმინოთ ბავშვის მოსაზრება და სათანადოდ გათვალისწინოთ. არცერთ მუხლში არ არის განმარტებული, თუ რას გულისხმობს ბავშვის “საქმეში ჩაბმა”, შესაბამისად, ამ საკითხის განმარტება და გადაწყვეტა, პრაქტიკაში დამოკიდებულია ინდივიდუალურ მოსამართლეზე, რაც ვერ უზრუნველყოფს ბავშვის უშუალოდ მოსმენისა და მისი მოსაზრებების სათანადოდ გათვალისწინების უფლებას. ბავშვს უნდა მოუსმინონ ყოველთვის, როდესაც მას სურს აზრის გამოთქმა.

ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 თავი<sup>178</sup> (განსჯადობა) არ ადგენს არა სრულწლოვანი მოსარჩელისთვის სასამართლო განსჯადობის საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანი გათავისუფლებულია საპროცესო ხარჯების გადახდისაგან, პროცესში დამარცხებულ მხარეს ეკისრება საპროცესო ხარჯების ანაზღაურება. ამ გავრცელდება ბავშვის მიერ აღძრულ საკითხთან დაკავშირებით, გაუმართლებელია რადგან ბავშვს არ უნდა ეკისრებოდეს მოწინააღმდეგე მხარის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება. ეს შეიძლება ერთგვარად ბავშვისთვის დამაბრკოლებელი აღმოჩნდეს სარჩელის აღძვრის დროს.

<sup>179</sup> გაურკვეველია ბავშვი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე სასამართლოსთვის მიმართვის დროს ადვოკატისთვის მინდობილობის სანოტარო წესით გაფორმების საკითხიც. არასრულწლოვნის მიერ სანოტარო მოქმედებაში მონაწილეობას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე კი არ უშვებს „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“

<sup>178</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. თავი მესამე

<sup>179</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (53-ე მუხლი).

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N71 ბრძანებით დამტკიცებული სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 25-ე მუხლი.<sup>180</sup> ამიტომ აღნიშნულ ბრძანებაშიც აუცილებელია ცვლილება.

თუ ვიმსჯელებთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის საქართველოს 81-ე მუხლით საქმე გვექნება მცირეწლოვანის(10 წლამდე არასრულწლოვანის) უფლებების შეზღუდვასთან, ვინაიდან მას კანონმდებლობით არ ააქვს უფლება დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს. ასევე მნიშვნელოვანია დაისვას კითხვა რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ მცირეწლოვანსა და მის კანონიერ წარმომადგენელს ან მშობელს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ? ცალსახაა , რომ ამ შემთხვევაში მცირეწლოვანი რჩება უფლებათუნარო .

აღსანიშნავია, რომ საოჯახო სამართალი 18 წლამდე პირის ქორწინებას არ ითვალისწინებს,<sup>181</sup> მაგრამ მიუხედავად ამ შეზღუდვისა სამოქალაქო სამართალში და ასევე საპროცესო სამართალში გვაქვს ემანსიპაციის მუხლი, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის საოჯახო სამართალთან . საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (ქმედუნარიანად ითვლება პირი რომელმაც 18-ი წლის მიღწევამდე იქორწინა)<sup>182</sup> აღნიშნული ჩანაწერი უნდა გაუქმდეს , ასევე ამავე კოდექსის 1108-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე სრულწლოვანი პირის ქორწინება დაიშვება მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით ვინაიდან არასრულწლოვანი დაცული იყოს მორალური, ფიზიკური ძალადობისგან.ორივე შემთხვევაში ნათლად სჩნს , რომ აქ კანონმდებელი უშვებს გამონაკლის შემთხვევებს , რომლის დროსაც შეიძლება არასრულწლოვანმა იქორწინოს , რასაც იმპერატიულად გვიკრძალავს საოჯახო სამართალი.კვლევების თანახმად, განმტკიცდა მოსაზრება, რომ ადრეულ ასაკში ქორწინება არღვევს ბავშვის ჯანმრთელობის, განათლების, თანასწორობის, ძალადობისა და ექსპლუატაციისგან

---

<sup>180</sup> სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის (2010 წლის 31 მარტის )N71 ბრძანებით დამტკიცებული სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის (25-ე მუხლი).

<sup>181</sup> ხელმისაწვდომია:<https://www.myadvokat.ge/ka/about/471/saojaxo-samartali-qorwineba> (01.12.2020)

<sup>182</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,1108-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტი.

თავისუფალ გარემოში ცხოვრების უფლებას.<sup>183</sup> მთელ მსოფლიოში მცხოვრები 700 მილიონზე მეტი ქალი დაქორწინებულია არასრულწლოვან ასაკში. აქედან, დაახლოებით 250 მილიონი კი, 15 წელს მიუღწეველი იყო.<sup>184</sup> გოგონები, რომლებიც 18 წლის ასაკამდე ქორწინდებიან, ხშირ შემთხვევაში აღარ აგრძელებენ სკოლაში სიარულს და წყვეტენ განათლების მიღებას.

„შვილის გვარი განისაზღვრება მშობლების გვარის მიხედვით.“<sup>185</sup> ფაქტობრივ ქორწინებაში დაბადებული ბავშვის წარმოშობის, სახელისა და გვარის მინიჭების საკითხი კი, რთულია. არარეგისტრირებულ ქორწინებაში, იგივე ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი პირების ერთად ცხოვრების პერიოდში დაბადებული ბავშვის სამართლებრივი უფლებები კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რადგან ბავშვი მამის ხაზით, მამის გვარს იღებს მხოლოდ მშობელთა რეგისტრირებული ქორწინების დროს(ბავშვს შეიძლება დედის გვარიც ჰქონდეს). ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი ბავშვის გვარისა და მისი წარმოშობის დადგენა კი, დამოკიდებულია მამის კეთილ ნებაზე ან/და სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, ვფიქრობ ამ შემთხვევაში ირდევია ბავშვის უფლება და კანონმდებლმა აუცილებლად უნდა მოაწესრიგოს აღნიშნული საკითხი.

სასამართლო ალტერნატივა ანუ მედიაცია<sup>186</sup> არ მიუთითებს მონაწილე მხარეთა რაიმე ასაკობრივ შეზღუდვას, არ მოიცავს ბავშვზე მორგებული ისეთ მართლმსაჯულების მოთხოვნებს, როგორცაა: ბავშვისთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის და კონსულტაციის მიწოდებას, ბავშვის მოსმენას და მისი აზრის გათვალისწინებას, კანონი არ ითვალისწინებს სასამართლოში საქმის სასარჩელო წესით წარმოების დაწყებამდე ბავშვის კონსულტაციას და ინფორმაციის მიწოდებას სასამართლო განხილვის ალტერნატიული მექანიზმის, მედიაციის შესაძლებლობის შესახებ.

<sup>183</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, ადრეულ ასაკში ქორწინება, გამოწვევები და გადაჭრის გზები.(2016). გვ 4.

ინფორმაცია ხელმისაწვდომია <http://www.parliament.ge/uploads/other/75/75677.pdf> (28.11.2020)

<sup>184</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია

[https://www.unicef.org/media/files/Child\\_Marriage\\_Report\\_7\\_17\\_LR..pd](https://www.unicef.org/media/files/Child_Marriage_Report_7_17_LR..pd)(28.11.2020)

<sup>185</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,(მუხლი 1195).

<sup>186</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187 პრიმა 3-მი მუხლი.



## 8. დასკვნა

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომით გათვალისწინებული საკვლევი საკითხი განხილულია დოქტრინალური და სათანადო პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში ცალკეული სამართლებრივი ნორმები გაჯერებულია ინკვიზიციურობის ელემენტებით, საოჯახო დავების განხილვისას სასამართლო ვალდებულია აქტიურად ჩაერთოს დარღვეული უფლებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვაში. სასამართლო პრაქტიკამ აჩვენა, რომ საოჯახო სამართლებრივ საქმეზე ინკვიზიცია გამოიყენება, როცა საკითხი ეხება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. სასამართლომ სსკ-ს 354.1 მუხლით განსაზღვრული დომინირებული მდგომარეობა უნდა გამოიყენოს ისეთ კატეგორიის საოჯახო დავაზე, სადაც ბავშვის ინტერესები ფიგურირებს, ხოლო სხვა საოჯახო საქმეებზე იგი არ გავრცელდება. არასრულწლოვანთა ინტერესებთან დაკავშირებული ყველა დავის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს ყველა ის საერთაშორისო აქტი, რეკომენდაცია და პრინციპი, რომელიც არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის წინაპირობას წარმოადგეს. აუცილებელია მოხდეს ქართული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, ანალიზი და მისი საერთაშორისო-სამართლებრივ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში სრულყოფილად მოყვანა. ბავშვთა უფლებათა კოდექსის მიღება, ერთ-ერთი წინადადგმული და ინსტიტუციური მოვლენაა.

ცალსახად ნათელია, რომ მაინც შეიმჩნევა გარკვეული ხარვეზები საპროცესო კუთხით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ გვაწვდის განმარტებას, ან რაიმე მითითებას იმის შესახებ, რომ უნდა მოვისმინოთ ბავშვის მოსაზრება და სათანადოდ გათვალისწინოთ ის. არცერთ მუხლში არ არის განმარტებული, თუ რას გულისხმობს ბავშვის “საქმეში ჩაბმა”, შესაბამისად, ამ საკითხის განმარტება და გადაწყვეტა, პრაქტიკაში დამოკიდებულია ინდივიდუალურ მოსამართლეზე, რაც ვერ უზრუნველყოფს ბავშვის უშუალოდ მოსმენისა და მისი მოსაზრებების სათანადოდ გათვალისწინების უფლებას. ბავშვს უნდა მოუსმინონ ყოველთვის,



როდესაც მას სურს აზრის გამოთქმა. ბავშვის საუკეთესო ინტერესების მახასიათებლები არ არის განსაზღვრული დოქტრინალურ და ნორმატიულ დონეზე. ამიტომ უმჯობესი იქნება თუკი ამ კუთხით, გადაიდგემა შესაბამისი ნაბიჯები. ჩემი ღრმა რწმენით, საუკეთესო ინტერესების განმსაზღვრელი ფაქტორები უმეტესწილად დამოკიდებულია კულტურაზე, რელიგიაზე, ტრადიციებზე და მისი ძირითადი დებულებები გამომდინარეობს „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 თავი (განსჯადობა) არ ადგენს არასრულწლოვანი მოსარჩელისთვის სასამართლო განსჯადობის საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანი გათავისუფლებულია საპროცესო ხარჯების გადახდისაგან, პროცესში დამარცხებულ მხარეს ეკისრება საპროცესო ხარჯების ანაზღაურება. ეს დათქმა გავრცელდება ბავშვის მიერ აღძრულ საკითხთან დაკავშირებით, რაც გაუმართლებელია ბავშვს არ უნდა ეკისრებოდეს მოწინააღმდეგე მხარის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება. ეს შეიძლება ერთგვარად ბავშვისთვის დამაბრკოლებელი აღმოჩნდეს.

ვფიქრობ, გაურკვეველია ბავშვი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე სასამართლოსთვის მიმართვის დროს ადვოკატისთვის მინდობილობის სანოტარო წესით გაფორმების საკითხიც. არასრულწლოვანს კანონიერი წარმომადგენლის გარეშე ეს უფლება არ ააქვთ. მაგრამ შთუ არსებობს ინტერესთ კონფლიქტი ამ ორ სუბიექტს შორის, ამ შემთხვევაში, არასრულწლოვანი „შებოჭილია“, აღნიშნული ნორმით.

შესაცვლელია პროცესში ჩრჩენილი საქორწინო ემანსიპაციის მუხლიც. ვინაიდან, საოჯახო სამართალი 18 წლამდე პირის ქორწინებას არ ითვალისწინებს, მაგრამ მიუხედავად ამ შეზღუდვისა სამოქალაქო სამართალში და ასევე საპროცესო სამართალში გვაქვს ემანსიპაციის მუხლი, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის საოჯახო სამართალთან.

პროცესი არ იცნობს მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს სტატუსის მქონე პირს ვიქრობ, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში საპროცესო მექანიზმის „amicus curiae“-ს დანერგვის შემთხვევაში უფრო დაზუსტებული იქნებოდა მეურვეობისა მზრუნველობის ორგანოს პროცესში მონაწილეობის სამართლებრივი საფუძველი და სტატუსი.

## ბიბლიოგრაფია

### ქართულენოვანი ლიტერატურა

- ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა (რედ.), თბილისი 2008.
- არასრულწლოვანთა უფლებების ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სრულყოფის პერსპექტივები”, I. არასრულწლოვანთა უფლებების ევროპული სტანდარტის მთავარი სამართლებრივი წყარო - ეკა ზარნაძე.
- ახალაძე მ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, გამომცემლობა „საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება“, თბილისი, 2018.
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში დაკარგული კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში“, 2008.
- ბასილაია ფ., საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, N4 (23), 2009, 30. წიგნიდან: ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, თბილისი, 2005 წელი.
- ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება, კანონმდებლის კვლევა, „გაეროს ბავშვთ ფონდი 2017“.
- ბავშვის უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი, „ბავშვის უფლებების შესახებ“, „ბავშვის უფლება მისი მოსაზრების მოსმენაზე“, კონვენციის მუხლი 12-ის შესაბამის ნაწილებში, გამოაქვეყნა (CRC/C/GC/12), 20 ივლისი, 2009 წელი.
- გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, მუხ. 16,
- გაგუა ი. მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2012.

- ევროპის საბჭოს ბავშვის უფლებათა კომიტეტი . ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N14 ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების შესახებ პარაგრაფი 16 . სტრასბურგი.
- იოსელიანი. საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი, „მართლმსაჯულება და კანონი,, .
- ლილუაშვილი თ. ხრუსტალი ვ., „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი,, 2007,, ხოფერია ნ. „შეჯიბრობითობის პრინციპი სამოქალაქო საპროცესო სამართალში,, „შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა. თბილისი 1999 გამომცემლობა „სამართალი“. თბილისი 2007 წელი.
- ლილუაშვილი თ ., სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხები საქართველოს სსრ სასამართლოების პრაქტიკაში. კრებული საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და პროცესის აქტუალური საკითხები, თბილისი, 1977 წელი, გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ლუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., ლილუაშვილი გ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2014 წელი, 89. ნაშრომიდან: Rosenberg, Schwab, Gottwald, Zivilprozessrecht.
- რებაშვილი ი., სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას, მხარეთ შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, 2009 წელი, N4 (23), 20. ნაშრომიდან: Moury J. les moyeens de droit a travers les articles 12 et 16 du nouveau Code de procedure civile. TRese. P. 1986.
- მეტრეველი, ვ. (2009). " რომის სამართალი " ( საფუძვლები ). თბილისი: "მერიდიანი".
- საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა,(თბილისი 2011).
- საჯაია, ავტორობისა და სახელის უფლება- ქართული საავტორო სამართალი და თანამედროვე სამართლებრივი ტენდენციები, სამართლის ჟურნალი.2013 .

- საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, სასამართლო მონიტორინგის ანგარიში#1. (2012წელი,საქართველო
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი(2015წლის1 ოქტომბრის მდგომარეობით)(თბილისი2015)
- ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012 წელი.
- შენგელია რ., ჭანტურია ლ., ახვლედიანი ზ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2000 წელი.
- ჭანტურია ლ.,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი,წიგნი მეხუთე, გამომცემლობა „სამართალი,, თბილისი 2000.
- ჯავახიშვილი, ი. (1928). " ქართული სამართლის ისტორია ", წიგნი I . ტფილისი: "ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა,,.
- ჯავახიშვილის ი. ენციკლოპედიური ლექსიკონი. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. თბილისი, 2002. გვ. უცხოენოვანი ლიტერატურა.
- bruno Deffains and Dominique Demougin, The inquisitorial and the adversarial procedure in a criminal court setting, Journal of Institutional and Theoretical Economics (JITE), 2008, p. 2,
- Erin C. Blondel, Victims' Rights in an Adversary System, Duke Law Journal, Vol. 58, No. 2008.
- uggenheim M., What'sWrong with Children's Rights, Published by HARVARD UNIVERSITY PRESS, 2005 y.
- ackson David : Adversarial and Inquisitorial Systems Medico-Legal Society of NSW Inc Scientific Meeting, March 2009.
- arkinson P., Family Law and the Indissolubility of Parenthood, Published by cambridge university press, 2011 y.
- wolf C., Zeibig N., Evidence in civil law, Germany, published 2015 by Institute for Local Self Government and Public Procurement Maribor, 15
- Мещеряков Ю. В. Формы уголовного судопроизводства. Л., 1990.
- ойницкий И. Я. Курс уголовного судопроизводства. Т. 1., СПб., (Переиздание 1996 года)
- лио Л. де ла Морандьер, Гранданское право Франции, Т. 1, Перевод с французского, М.,

- Mühlfeld, S. 2002 გვ.44 (Mühlfeld, S., Mediation im Strafrecht - Unter besonderer Berücksichtigung von Gewalt in Schule und Strafvollzug, 2002)

### ნორმატიული მასალა

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
5. „კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ“
6. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-14/ნსაჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების შესახებ.
7. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე.
8. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ.
9. ბავშვის უფლებების საერთაშორისო კონვენცია.
10. სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N71 ბრძანებით დამტკიცებული სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 25-ე მუხლი.

### სასამართლოს გადაწყვეტილებები

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1273-2018,( 2018 წლის 14 დეკემბერი). <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 მარტის განჩინება Nას-1035-1228-08 <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr20107.pdf>
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1210-1130- 2017,( 7 მარტი 2018 წელი)<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1273-2018,( 14 დეკემბერი, 2018 წელი). <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1062-996-2012,( 22 იანვარი, 2013 წელი). <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
- ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადი №71776/12), სტრასბურგი, 2თებერვალი,( 2016 წელი),<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3295053?publication=0>
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (2018 წლის 07 დეკემბრის) გადაწყვეტილება <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4390502?publication=0>

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (2018 წლის 07 დეკემბრის) გადაწყვეტილება საქმეზე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4390502?publication=0>
- სტრასბურგის 2016 წლის 02 თებერვლის მეოთხე სექციის გადაწყვეტილება ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი N. 71776/12)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე No.1638/03 MASLOV v. AUSTRIA, 23 ივნისი, 2008 წელი.
- ablique francaise, Cour D'appel de Colmar, Tribunal de grande instance de Colmar, Deuxieme Chambre Civile, Jugement du juge aux affaires familiales, 21 mars, 2016, N°RG: 15/02299 N°IIJ : 161771
- CASE OF MANDET v. FRANCE, EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, Application no. 30955/12, 14 January, 2016 .

## ინტერნეტ რესურსი

ინფორმაცია საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-185-ე

მუხლებზე <https://www.legifrance.gouv.fr/>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=108>

ინფორმაცია კონვენციის შესახებ

<http://www.supremecourt.ge/files/uploadfile/pdf/arasrw.martl3.pdf>

ინფორმაცია ბავშვთა კეთილდღეობის მინიმალურ

სტანდარტებზე <https://www.unicef.org/georgia/ka/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1->

<https://www.unicef.org/georgia/ka/%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90->

<https://www.unicef.org/georgia/ka/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90>

ინფორმაცია „ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის“ შესახებ

<http://www.parliament.ge/uploads/other/132/132680.pdf>

ინფორმაცია ფიზიკური დასჯის სრულად არის აკრძალვის შესახებ

[https://endcorporalpunishment.org/wp-content/uploads/country-reports/Georgia\\_KA.pdf](https://endcorporalpunishment.org/wp-content/uploads/country-reports/Georgia_KA.pdf) ინფორმაცია

